# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 ოქტომბერი 2008 №251 (3475) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## სადღეისო საფეხბურთო რეალობა
## უმაღლესი ლიგა ლოკომოტივს ჩაება
## ოლიმპის ვაგონს კვლავ ჩახსნა ემუქრება



გაგრა — ოლიმპი. სტუმარიც და მასპინძელიც უგოლოდ დარჩა

## კარგი, ცუდი, ბოროტი







**კარგი:** კარგა ხნის უქმობის მერე, რაც ტრავმით იყო გამოწვეული, მოედანს დაუბრუნდა ლაშა ჯაკობია. ეს ამბავი კი უკრაინის თასის მერვედფინალისას მოხდა, როცა ჯაკობიას „მეტალისტმა“ „არსენალს“ 3:1 სძლია, ხოლო ქართველმა თავდამსხმელმა ერთი ტაიმი ითამაშა. შეგახსენებთ, რომ ჯაკობია თავის დროზე ხარკოვული კლუბის კაპიტანიც იყო, იქიდან დაახლოებით ორი წლის წინ წავიდა, ბოლოს „ვორსკლაში“ იყო და ისევ ძველ გუნდს დაუბრუნდა.

**ცუდი:** ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავისი ლიდერთაგანი გიორგი ადამია დაითხოვა და ორი სხვა გამორჩეული ფეხბურთელიც მიაყოლა. ეს ამბავი კი მეტად უცნაურ ვითარებაში მოხდა, რაკი გაგანია სეზონია და გაშვებისას ახსნა-განმარტებაც არ მიუყოლებიათ. ადამიას მთხოვნელები აზერბაიჯანშივე უკვე გამოუჩნდნენ, თუმცა თავად სამშობლოში ფიქრობს დაბრუნებას.

**ბოროტი:** „დინამოს“ გაბონელი ფორვარდი ჟორჟ აკიემი ზესტაფონელი პოლ კესანის გზას რომ დაადგა და კლუბიდან გაქრა, ადრეც გვეწერა. ახალი ამბავი კი ის არის, რომ აკიემი რომელიღაც უკრაინულ კლუბს შეკედლებია და იქ ვარჯიშობს, ხოლო ფიფაში თავს როგორ იმართლებს მალე გამოჩნდება.

## ქართულმა ხელბურთმა ხელი გაიშვირა
## დაეხმარეთ 1000 ლარით

## ვიცემ პრეზიდენტობა აღარ ისურვა
### ლერი ხაბელოვი: არჩევნები თავისუფალი არ იქნება!





## ბოლო ცნობა მარადონაზე

დიეგოს არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მომდევნო კვირაში დანიშნავენ, დებიუტი კი 11 თებერვალს მარსელში, საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში ექნება

# საქართველოდან გაბონში წასული უკრაინაში ყოფილა
## რა ელის ჟორჟ აკირემის?!



თბილისის „დინამოს“ გაბონელი ლეგიონერი ჟორჟ აკირემი ჩემპიონთა თასზე „პანათინაიკოსთან“ საშინაო შეხვედრის შემდეგ თბილისში აღარავის უნახავს. ის თავისი ქვეყნის ნაკრებში გამოიძახეს და, ცხადია, იქ გაემგზავრა. ერთი კვირა, ორი, სამი... აკირემისგან არც არაფერი ისმოდა და არც ახლა ისმის. არადა, მას თბილისის „დინამოსთან“ მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, აკირემიც თავის თანამემამულე პოლ კესანის გზას დაადგა და კლუბის გამოცვლას უჩუმრად აპირებს... რა ხდება და როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის „დინამოს“ სადღეისო პოზიცია? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ კლუბის პრესსამსახურის უფროს გიგა გვენცაძეს:

„ჟორჟ აკირემი ტრავმირებული იყო და მკურნალობდა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მას ჩვენს კლუბთან კონტაქტი აღარ ჰქონია. „დინამომ“, ცხადია, საქმის კურსში ჩააყენა ფიფა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურები. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს გეტყვით. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას“.

ჩვენი ინფორმაციით კი, მოვლენები ისე ვითარდება, რომ ან აკირემის არ ასცდება სასჯელი, ან იმ კლუბს, სადაც გაბონელი დღესდღეობით ვარჯიშობს — რომელიღაც უკრაინული კლუბში. ვნახოთ, რა იქნება...

კობა ინასარიძე

# ზესტაფონს ფერო არ აფინანსებს!
## ვიეირა ცოლს ირთავსო...


ჟილვან ვიეირა

„არავითარი კრიზისი არ გვემუქრება და სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ჭიათურმანგანუმში“ და „ფეროში“ შექმნილ ცუდ მდგომარეობას „ზესტაფონთან“ არანაირი კავშირი არ აქვს!“ — ეს სიტყვები იმერული კლუბის პრეს-ატაშე *სერგო ფურტკარაძემ* გვითხრა.

გუშინ ვწერდით, „ჭიათურმანგანუმი“ თანამშრომლებს უვადო შვებულებაში უშვებს, მიზეზი კი უცხოეთში მარგანეცის ვერგატანაში, უფრო სწორედ გატანის შეფერხებაშიაო. „ფერო“ კი სწორედ „ჭიათურმანგანუმზეა“ დამოკიდებული.

— მინდა ვთქვა, რომ „ზესტაფონი“ „ფეროსგან“ არ ფინანსდება. საწყენია, რომ ამ ქარხნებში ასეთი მდგომარეობაა, მაგრამ ჩვენს კლუბთან ეს რა შუაშია, არ მესმის — დაამატა ფუტკარაძემ.

— კეთილი. ბრაზილიელი ჟილვან ვიეირა ბრაზილიაში წავიდა — მას ახალი კონტრაქტი არ შესთავაზა კლუბმა?

— იყო ამაზე ლაპარაკი, თუმცა ვიეირამ თქვა, ახლა აუცილებლად ბრაზილიაში უნდა წავიდეო. ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა და ცხადია, ამას ვერ დავუშლიდით. საქმე ისაა, რომ ვიეირას ბრაზილიაში ავადმყოფი ძმა ჰყავს, რომელიც წელს ქვემოთ მოწყვეტილია, მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამასთან, ვიეირა ცოლის მოყვანასაც აპირებს და...

— არის შანსი, ვიეირა დაბრუნდეს და ახალი კონტრაქტი გააფორმოს?

— თვითონ გვითხრა, ახალი წლის შემდეგ შეიძლებაო. ასე თქვა, ჩამომსვლელი ვარო და ვნახოთ, რას გადაწყვეტს.

— კიდევ რომელიმე ლეგიონერს უმთავრდება მალე კონტრაქტი?

— ედსონ სანტოსს — 2008 წლის ბოლოს.

— პოლ კესანისა და ეტიენ ბიტოოს საქმეზე ახალი ხომ არაფერია?

— არა, ფიფაშია გადაცემული მათი საკითხი და ველოდებით.

ილია ნანობაშვილი



# აი, ასეთი იონა
## ან ფავალ, ან დავრჩები

იონა — მგონი, არცერთი ფეხბურთელი ისე არ დააკლდება ჩვენს ჩემპიონატს, როგორც ის. იონა რაღაც განსაკუთრებული მოთამაშეა, სხვა კოლორიტია და არა მარტო იმიტომ, რომ უმაღლესი ლიგის ყველა დროის გოლეადორია. ესეც, რა თქმა უნდა — აბა, 200 გოლს რომ გადასცდები და სხვები 150-საც არ მიახლოვებიან, უკვე ბევრს ნიშნავს.

...მაგრამ ზურაბ იონანიძე კოლორიტია ჯერ მარტო იმიტომ, რომ 1990 წლიდან თამაშობს საქართველოს ჩემპიონატში და მართალია, გარკვეული პერიოდი უცხოეთშიც გაუგორებია ბურთი, მაგრამ იონა, ასე ვთქვათ, ჩვენი ჩემპიონატის მოთამაშეა. 36 წლის იონანიძემ გუშინწინ „ბორჯომთან“ 18 წუთი დაჰყო მინდორზე, დიდი კვალი არ დაუტყვია მატჩისთვის, მაგრამ ისტორიას დაატყო — ეს იყო მისი მე-400 თამაში ეროვნულ ჩემპიონატებში...

— 400 მატჩი და 200-ზე მეტი გოლი. გასახსენებელს რა გამოლევს, მაგრამ ყველაზე სასიამოვნოდ რომელი თამაში გახსენდება? — ვკითხეთ იონას.

— მართლა მიჭირს რომელიმეს გამორჩევა. ბევრი კარგი თამაში მქონია, ბევრჯერ გული დამწყვეტია, მოკლედ, რა აღარ მინახავს... მაგრამ ახლა მხოლოდ სიამაყეს ვგრძნობ, ამდენი რომ მოვასწარი. 400 მატჩი ნამდვილად არაა ცოტა.

— იონანიძის ჩაგდებული სეზონი არ გვახსენდება. სტაბილურობას როგორ ინარჩუნებდი?

— ყოველთვის ვცდილობდი, რეჟიმში ვყოფილიყავი და ახლაც ასე ვარ. ფეხბურთი მიყვარს და მსიამოვნებს. ბევრი კარგი სეზონი მქონდა, ბოლო წლებში კი... რა გითხრათ... 2005-06 წლების სეზონი მახსენდება ძალიან კარგად, როცა კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებშიც ამიყვანა.

— ამ სეზონში კი ხშირად არ თამაშობ. ასაკი თავისას შვრება?

— შეიძლება, ასაკიც, რა ვიცი... ისე, ლამის 24 საათი ახლაც რეჟიმში ვარ, ვვარჯიშობ, თანაც ძალიან ცოტასაც არ ვთამაშობ — შეცვლებზე შევდივარ, ვცდილობ, „ზესტაფონს“ ყველანაირად დავეხმარო.

— ესე იგი, ისევ გერჩის მუხლი...

— ასეა. უბრალოდ, გუნდი 11 კაცისგან არ შედგება და უნდა იცოდე, რომ შესაძლოა, სათადარიგოებიდან ჩაერთო თამაშში ან საერთოდ ვერ გახვიდე მინდორზე. „ზესტაფონში“ ახალგაზრდა ფეხბურთელების მთელი ჯგუფია და ნეტავ, მართლა დიდი ფეხბურთი ითამაშონ — ამის იმედი ნამდვილად მაქვს. კარგი ბიჭები არიან, მონდომებულები.

— „ზესტაფონთან“ კონტრაქტი როდის გამთავრდება?

— 1 დეკემბერს.

— და მერე რას აპირებ?

— არ ვიცი. ჯერ არ გადამიწყვეტია. ისე, თამაშის სურვილი კიდევ მაქვს, მაგრამ წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი. შეიძლება, კიდევ ხუთი წელი ვითამაშო, შეიძლება, ხვალვე შევეშვა ფეხბურთს...

— „ზესტაფონმა“ რომ მძიმედ დაიწყო სეზონი, ეს რისი ბრალია?

— სამწუხაროა, რომ გუშინ „ბორჯომს“ ვერ მოვუგეთ. მართალია, ლიდერებში არ ვართ, მაგრამ ჯერ ადრეა — წინ ბევრი თამაშია. არც „ვიტ ჯორჯია“ და არც „ლოკომოტივი“ იმდენით არ გვისწრებენ, რომ ყურები ჩამოვყაროთ.

— წინა სეზონში უფრო ძლიერი არ იყო „ზესტაფონი“? როგორ შეადარებდი?

— შარშან კარგი გუნდი გვყავდა, მაგრამ ვიეირა, პოლ კესანი და ედიკ საჯაია წავიდნენ. ეს სამეული დიდი ძალაა, თუმცა მათი შემცვლელებიც მოვიდნენ. ალბათ, დროა საჭირო, რომ ჩვეულ ფორმაში შევიდეთ. ვფიქრობ, ნაკლები გუნდი არც ახლა გვყავს. შედეგი გასაგებია, ვერაა კარგი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სხვებთან შედარებით, უფრო მძიმე კალენდარი გვქონდა. ახლა შედარებით გაგვიადვილდება.

— „ზესტაფონის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე რას იტყვი?

— მშვენიერი თაობაა. აი, თუნდაც ბექა გოცირიძე, რომელსაც მართლაც გამოვარჩევდი, ძალიან ყოჩაღი და ძლიერი ბიჭია, ეროვნულ ნაკრებშიც მაგრად თამაშობს. ბექას გარდაც ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, საქართველოს ნაკრებში რომ გამოიჩენენ თავს.

— როგორც ბევრად უფროსი, ხშირად გიწევს ამ ახალგაზრდებისთვის შეფუცხუნება ან თუნდაც ყვირილი?

— ხშირად არა. პროფესიონალები არიან და ჩემი დაყვირება არ სჭირდებათ, მონდომებით თამაშობენ.

— ესე იგი, მინდორზე მწვრთნელობის შეთავსება არ გჭირდება...

— ყოფილა შემთხვევა, შენიშვნა მიმიცია ახალგაზრდებისთვის. ცხადია, ეს არც წყენიათ და არც ეწყინებათ, მაგრამ ხშირად არ არის ამის საჭიროება.

ილია ნანობაშვილი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა
### 10 ტური

**აღმოსავლეთი**

ნორჩი დინამო 0:1 კახეთი

დღეს

პერეთი — დინამო 2

თბილისი — სიონი 2

ამერი — გაგრა 2

ვიტ ჯორჯია 2 — დილა

**დასავლეთი. დღეს**

მერანი (მ) — ტორპედო 2008

ზესტაფონი 2 — მეშახტე

ხობი — კოლხეთი

ბაია — გურია

სამტრედია — ჭიათურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21:7 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 5 | 3 | 0 | 17:2 | 18 |
| ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| სიონი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 13:22 | 9 |
| გაგრა 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 13:20 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| კახეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:16 | 7 |
| ნორჩი დინამო | 9 | 1 | 3 | 5 | 11:17 | 6 |
| ჰერეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| მერანი (მ) | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ჭიათურა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:7 | 16 |
| სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 12:7 | 13 |
| ხობი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| გურია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| ტორპედო 2008 | 8 | 2 | 1 | 5 | 3:6 | 7 |
| მეშახტე | 8 | 0 | 1 | 7 | 5:22 | 1 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ შალამბერიძეს

ძმის

გარდაცვალების გამო

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 8 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპი გაშრა



გიორგი მეგრელაძემ (№10) ბურთს ოდნავ გაასწრო და...

ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი. 700 მაყურებელი

## გაგრა 0:0 ოლიმპი

| | |
|---|---|
| გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, მგელაძე, დ. გიგაური, ჯ. გაბუნია, ტყეშელაშვილი, შარიქაძე (ზ. მეტრეველი 60), ზ. დათუნაშვილი (ცხადაია 63), ბ. ყიფიანი (ფილია 89), ზ. ძაგანია, გაბედავა; სათადარიგონი: ა. კოტრიკაძე, ლალიანი, ა. ტეტუნაშვილი, ხოკერაშვილი; მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ოლიმპი: მერლანი, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე (თ. ლონლაძე 46), გ. სეთურიძე, გაბიდაური, ბაბუნაშვილი (ფიფია 68), ფეიქრიშვილი, დობროვოლსკი, გ. ჩხეტიანი (მეგრელაძე 46); სათადარიგონი: სტურუა, ალადაშვილი, მიკუჩაძე; მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |

გაფრთხილება: აკუასაგა (64)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ლ. კვარაცხელია

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე; დელეგატი: შ. ბაქრაძე

**ნუკრი ლოლაძე**

**გეხსომებათ**, „ოლიმპმა" მოსამზადებელ პერიოდში „გაგრას" 6:0 მოუგო. საერთოდაც, „ოლიმპი" ამხანაგურ მატჩებში ქვას ქვაზე არ ტოვებდა, მაგრამ ჩემპიონატში შეიდი ტური გავიდა და მოგება არ უნახავს.

წინა ტურში რუსთაველებმა „ბორჯომს" ვერ მოუგეს. იმ შეხვედრაშიც და გუშინაც „ოლიმპი" დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გამარჯვების გოლის გატანა ვერა და ვერ მოახერხა.

კილასონიამ თამაში ერთი თავდამსხმელით დაიწყო — გაგა ჩხეტიანი გაამწესა წინ, თუმც მას აშკარად არ წაუვიდა თამაში. საწყის 20 წუთში რუსთაველები აქტიურობდნენ. მე-6 წუთზე ერნესტ აკუასაგას დაწყებული შეტევა გიორგი ფეიქრიშვილმა გააგრძელა მარცხენა ფრთიდან, თუმც ხეირიანი გაგრძელება ველარ მოახერხა.

ამის მერე გიორგი სეთურიძემ დაარტყა კარში და რევაზ თევდორაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

სეთურიძემ და დენის დობროვოლსკიმ დაარტყეს თევდორაძის კარისკენ — არანაირი ხიფათი.

28-ე წუთზე კი „გაგრამ" პირველად და, როგორც შემდეგ გამოჩნდა, უკანასკნელად დაარტყა კარისკენ — ეს გიორგი გაბედავამ გააკეთა შორიდან, მაგრამ მირზა მერლანი ადგილზე დახვდა ბურთს.

ტაიმის ბოლოს ზურაბ ძაგანიამ ნოდარ მაჭავარიანის და თენგიზ ჩიკვილაძის შეცდომით ვერ ისარგებლა, კარში დარტყმის ნაცვლად პასის გაკეთება ამჯობინა და გოლის გატანის რეალური შანსი გაანიავა.

მეორე ნახევარში რუსთაველთა უპირატესობა აშკარა გახდა, მასპინძლები „ოლიმპის" კარს ვერც უახლოვდებოდნენ, კილასონიას შეგირდები კი სულ შეტევაში იყვნენ, მაგრამ რად გინდა, ამ შეტევებს ფეხა აკლდა.

ჩხეტიანის ნაცვლად გიორგი მეგრელაძე გამოჩნდა, მერე კი გოგი ფიფიაც შევიდა მოედანზე.

56-ე წუთზე ფეიქრიშვილის მოჭრილი დარტყმა გადასცდა კარს, მალევე შოთა ბაბუნაშვილის გამჭოლ გადაცემას ფეხი ვერ მოარტყა მეგრელაძემ.

რაც დრო გადიოდა, „გაგრას" უფრო და უფრო უჭირდა შეტევების მოგერიება. 76-ე წუთზე ფეიქრიშვილმა ერთი მცველი ჩამოიცილა და სეთურიძეს საჯარიმოში მიაწოდა ბურთი, თუმც მან დარტყმა დააგვიანა და...

ორ წუთში სეთურიძემ ჩააწოდა მარჯვენა ფრთიდან, ფიფიამ ამოსცხო ბურთს და თევდორაძემ უხერხულად მოიგერია კუთხურზე.

ბოლო წუთებში „ოლიმპი" მთელი გუნდით შეტევაში იყო — სულ ბოლოს გიორგი გაბიდაურის ნაკუთხურალს აკუასაგამ შეაგება თავი, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

ნამატჩევს ვლადიმერ ხაჩიძეს ჟურნალისტებთან ჰქონდა პრეტენზია — წინა თამაშისას პრესკონფერენციაზე რომ ვერ მოვედი, რა ამბავი ატეხეთ, ტელევიზიას ვაძლევდი კომენტარს და ორად ხომ ვერ გავიჭრებოდიო.

ორად თუ სამად გაჭრა ჩვენი პრობლემა არ არის, აქ კი ხაჩიძის გუშინდელ კომენტარს გაგაცნობთ: „რა თქმა უნდა, ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ და ასე იყო დღესაც, თუმცა „ოლიმპი" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მეორე ნახევარში ძალიან გაგვიჭირდა, ბოლოსკენ უკვე ფრეზეც ყაბულს ვიყავი".

ვარლამ კილასონია: „ეს უკვე უიღბლობა ალარ არის. შვიდი მატჩია, ასე გრძელდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შემსრულებლები არ გვყავს".

გორი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი. 40 მაყურებელი

## სპარტაკი 1:4 ლოკომოტივი

0:1 ალექსიძე (4), 1:1 შონია (23), 1:2, 1:3 ცქიტიშვილი (42, 54), 1:4 ჯანგიძე (80ს.კ.)

| | |
|---|---|
| სპარტაკი: გ. იაშვილი, კუპრეიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ვ. ქორიძე, მამუკაშვილი (მ. ლონლაძე 46), შალამბერიძე, თარხნიშვილი, თ. შონია, მაისურაძე (გ. ხიდეშელი 60), ჯანგიძე, სირბილაძე (დათუნაშვილი 78); სათადარიგონი: ქვილითაია, ნადირაშვილი, თექთუმანიძე, ბონდო გოცირიძე; მწვრთნელი: სერგო გაბელაია | ლოკომოტივი: გ. ლომაია, ფარულავა, დ. ფოფხაძე, კახელიშვილი, სარალიძე, ცქიტიშვილი, კ. მახარაძე, ჩირიკაშვილი, სამხარაძე (ბებუა 79), ვ. დარასელია (ი. გილაური 70), ალექსიძე (ჩაგელიშვილი 68); სათადარიგონი: ბათიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, ბარბაქაძე, კაჭახიძე; მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |

გაფრთხილება: ქორიძე (84), მახარაძე (55)

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ზვ. გურგენიძე, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

# ლოკომოტივს სპარტაკის შეტევები გამოადგა

## ეროვნულ ჩემპიონატს ახალი თავი აქვს

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩი** სწრაფ ტემპში დაიწყო და სწრაფი გოლიც გავიდა — მე-4 წუთზე თბილისელებმა მოედნის ცენტრში ჯარიმა გაითამაშეს, ვიტალი დარასელიამ, რომ იტყვიან, თავზე დაასვა ბურთი რატი ალექსიძეს, რომელმაც შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა — 0:1.

მე-8 წუთზე „სპარტაკმაც" შექმნა სახიფათო მომენტი. ირაკლი სირბილაძემ დაუგორა ბურთი ნიკა მაისურაძეს, რომლის ძლიერი დარტყმა ხელებში მიუვიდა გიორგი ლომაიას.

ტაიმის შუაში „სპარტაკმა" ანგარიში გაათანაბრა. 23-ე წუთზე ლაშა ჯანგიძის კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი თემურ შონიამ, რომლის თავური კი მოიგერია ლომაიამ, მაგრამ ბურთს კვლავ შონია დაეუფლა და 1:1.

თამაში გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა და მომენტები ორივე კართან იქმნებოდა.

29-ე წუთზე კობა შალამბერიძემ ბოლომდე მისდია ბურთს, კარგადაც გადააწოდა აკაკი კუპრეიშვილს, რომლის დარტყმული ლომაიამ ნახტომში მოიგერია.

ტაიმის ბოლოს „სპარტაკი" ოდნავ გააქტიურდა, მაგრამ... გოლი მის კარში გავიდა — 42-ე წუთზე დარასელიამ გამჭოლი გადაცემა გააკეთა კარის გასწვრივ, რომელსაც შორეულ ძელთან ლევან ცქიტიშვილი დახვდა — 1:2.

მეორე ნახევარიც აქტიურად დაიწყეს გუნდებმა.

53-ე წუთზე შალამბერიძის შორეულ გადაცემაზე მაისურაძემ შეუჩერებლად და ძლიერად დაარტყა „ლოკომოტივის" კარში, მაგრამ ლომაიამ ითამაშა უშეცდომოდ და ბურთი მოიგერია.

წუთში კი სტუმართა საპასუხო შეტევისას ანგარიში მათ სასარგებლოდ გაიზარდა — მცველები შეცდნენ, ბურთს ცქიტიშვილი დაეუფლა და საჯარიმოს ხაზიდან ტექნიკურად და ზუსტად დაარტყა გიგა იაშვილის კარის მაღალ კუთხეში — 1:3.

„სპარტაკი" წინ წავიდა და ისევ შეეცადა თამაშში გარდატეხის შეტანას.

63-ე წუთზე დარასელიას დარტყმული იაშვილმა მოიგერია, საპასუხოდ კი თორნიკე თარხნიშვილს აუღო ლომაიამ.

მერე ირაკლი სირბილაძესაც შეეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება, არ გამოუვიდა. მე-80 წუთზე კი მაინც სტუმრებმა იყოჩაღეს — გიორგი კახელიშვილის ჩაწოდებული ბურთი თავში მოხვდა ჯანგიძეს და... 1:4.

# მესხეთმა ექვსქულიანი მოიგო

ზუგდიდი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე. 600 მაყურებელი

## მგლები 0:2 მესხეთი

0:1 სუდაძე (30), 0:2 სამადაშვილი (47)

| | |
|---|---|
| მგლები: მამალაძე, ჭითანავა, აქუბარდია, ხუხია (ხურციძე 76), რეხვიაშვილი, ჯოჯუა, გუჩუა, გულორდავა, ლომია (ქუცურუა 61), გ. მიქაბერიძე (დარსანია 46), გ. თოდუა; სათადარიგონი: ქალდანი, კ. ჯიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, გულუა; მწვრთნელი: ბესიკ შეროზია | მესხეთი: სომხიშვილი (ძამუნაშვილი 83), რაქვიაშვილი, მემარნიშვილი, გ. კვახაძე, ლეკიშვილი, თედიაშვილი, ინასარიძე (ქოჩორაშვილი 72), შ. გრიგალაშვილი, მ. თაყაძე, სუდაძე (გაგუა 69), სამადაშვილი; სათადარიგონი: ყურულაშვილი, მურმანიშვილი, ქობელაშვილი; მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (34), თედიაშვილი (84)

მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე, გ. დოგრაშვილი

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**ზუგდიდში** „მგლებთან" თამაში ყოველთვის რთულია და ხშირად ყოფილა, იქიდან ლიდერებიც უქულოდ წამოსულან. ამიტომ ზუგდიდელების „მესხეთთან" ასეთი უმარილო თამაში ცოტა გასაკვირიცაა. მით უფრო, ამ გუნდებს ამოცანად უმაღლესში დარჩენა აქვთ დასახული და ამ ლოგიკით მასპინძლები ერთ-ერთ კონკურენტს ეთამაშებოდნენ...

თამაში სტუმრებმა აგრესიულად დაიწყეს და ხუთ წუთში „მგლების" კართან სამი მომენტიც შეიქმნა, თუმცა მესხები გადამწყვეტ მომენტში სცოდავდნენ.

ამის მერე ზუგდიდელები ცოტა გამოფხიზლდნენ და გია თოდუამ 25 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა — მეკარისგან მარცხენა კუთხეში წასული ბურთი გიორგი სომხიშვილმა მშვენიერ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ „მგლებს" სტუმართა მეკარე პირველ ტაიმში ალარ შეუწუხებიათ. სამაგიეროდ, მესხებმა 30-ე წუთზე იხეირეს. მარცხნიდან გურამ სამადაშვილის გადაცემას გელა სუდაძე გამოეხმაურა საჯარიმოში, ხუთ ზუგდიდელს დაასწრო და ბურთი კარში გადაგზავნა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, სტუმრებმა „მგლებს" თამაშის სურვილი მოუკლეს. 47-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მცველებმა კარგად ვერ ამოიტანეს და სამადაშვილმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 0:2.

75-ე წუთზე ფეხბურთელები წაკინკლავდნენ, თუმცა საქმე მეტად არ გართულებულა. ბოლო 20 წუთში კი „მგლები" უკანმოუხედავად უტევდა, მაგრამ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | 13:3 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 12:8 | 12 |
| მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10:8 | 12 |
| ზესტაფონი | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 11 |
| სიონი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:4 | 9 |
| ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:12 | 9 |
| მესხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| გაგრა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| ოლიმპი | 7 | 0 | 5 | 2 | 4:7 | 5 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:16 | 3 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 6 - | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| 5 - | გ. თოდუა | მგლები |
| | ვაწაძე | დინამო |
| 3 - | ლომია | მგლები |
| | ჩიკნაძე | ბორჯომი |
| | ჩოშკაძე | სიონი |
| | ცქიტიშვილი | ლოკომოტივი |
| | გელაშვილი | ზესტაფონი |

# ადამია ნეფთჩიდან დაითხოვეს!

## სანამ გიორგი საქართველოში ბრუნდება, აზერბაიჯანში რიგი დადგა...





გერმანელმა ჰანს-იურგენ გედემ გიორგი ადამია გუნდიდან გააგდო

**გასაკვირი** ამბავი აზერბაიჯანიდან: ჩვენი სამეზობლოს ყველაზე სახელოვანი კლუბის, ბაქოს „ნეფთჩის“ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი ადამია კლუბიდან დაითხოვეს.

რა მოხდა, ამის თაობაზე აზერბაიჯანელები ჯერ ვერაფერს ამბობენ. „ნეფთჩის“ გერმანელმა მწვრთნელმა ჰანს-იურგენ გედემ ადამიას გუნდისა და ქვეყნის ნაკრების კაპიტანი რაშიდ სადიგოვი და ნატურალიზებული უცხოელი ალექსანდრ ჩერტოგანოვიც მიაყოლა. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზებზე კი არც თავად უთქვამს და არც კლუბის სხვა ხელმძღვანელებს...

„ვეჭვობ, რომ გედეს ჩვენი დათხოვნის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიეღო, ის, ალბათ, აიძულეს, ეს გაეკეთებინა. უცნაურია, შუა სეზონში სამი ფეხბურთელი გაგვიშვეს. ახლა სად უნდა ვივარჯიშოთ, სად ვითამაშოთ?!“ — თქვა რაშიდ სადიგოვმა.

მოგვიანებით კი ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგა გიორგი ადამიას შეხვდა და მომხდარის თაობაზე ჰკითხა...

— „ინტერთან“ 1:3 წაგებული მატჩის შემდეგ გედემ თავისთან დაგვიბარა მე, ჩერტოგანოვი და სადიგოვი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გვითხრა, რომ ჩვენი სამსახური აღარ სჭირდება მხოლოდ ერთი თქვა — თქვენ ძვლებურად სასარგებლოდ ვეღარ თამაშობთ და გუნდიდან უნდა წახვიდეთო. შესაძლოა, ნაწილობრივ, მწვრთნელი მართალიც იყოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო დროს ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე ვთამაშობდი და პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა მიჭირდა.

— „ნეფთჩის“ დუბლებთან ვარჯიშიც არ შემოუთავაზებიათ?

— საშუალება მაქვს, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. სჯობს, საქართველოში დავბრუნდე და იქ მოვემზადო. ჩემთვის საწყენია, რომ „ნეფთჩიში“ გატარებული ოთხი მშვენიერი სეზონის შემდეგ ვითარება მოულოდნელად ასე შეიცვალა და კლუბის დატოვება მომიხდა. საქართველოში რომ ვბრუნდები, „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობამ ეს უკვე იცის. ვფიქრობ, ეს ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია. ზამთრის სატრანსფერო სეზონის გახსნამდე იქ მოვემზადები, მერე კი, ალბათ, ახალ გუნდში გადასვლაც არ გამიჭირდება. ამ ოთხი სეზონის განმავლობაში უცხოური კლუბებიდან ბევრი წინადადება მქონდა, მაგრამ „ნეფთჩის“ ერთგული დავრჩი და არსად წავედი. ახლა კი...

გიორგი ადამია არა მხოლოდ „ბაქოს „ნეფთჩიში“, მთლიანად აზერბაიჯანშიც ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ერთი პერიოდი ადამიას იქაური მოქალაქეობის მიღებასა და ქვეყნის ნაკრებში თამაშსაც სთავაზობდნენ, ამ ერთი-ორი თვის წინ უკვე საქართველოს ეროვნულ გუნდში მის დაძახებაზეც დაიწყო ლაპარაკი, ახლა კი...

გიორგი თბილისში დღეს-ხვალ ჩამოვა და მომხდარზე, ალბათ, უფრო დაწვრილებით მოგვიყვება. იქამდე კი აზერბაიჯანელებმა უკვე გამოჩხრიკეს ოთხი ვარიანტი — ადამიას ლენქორანის „ხაზარი“, ბაქოს „ინტერი“, „ბაკი“ და „ყარაბახი“ ეპატიჟებიან.

**ქოგა ინასარიძე**

# მჭედლიძე პალერმოსთან ერთად დღეიდან იწყებს



**ლევან მჭედლიძემ** ბულგარეთთან სანაკრებო მატჩის პირველ ტაიმში ტრავმის გამო დატოვა მინდორი და მას შემდეგ არ უთამაშია.

ჩვენიანი იტალიურ „პალერმოში“ მალევე ჩავიდა, თუმცა ცალკე, ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

ლევანი დღეს შეუერთდება „პალერმოს“ და, შესაძლოა, თავიდანვე დიდი დატვირთვები არ მიაღებინონ, მაგრამ ნელ-ნელა შეაჩვევენ.

ტურინის „იუვენტუსთან“ გადამწყვეტი გოლის გატანის შემდეგ, 18 წლის ქართველს უკვე სულ სხვა თვალით უყურებენ იტალიაში და „პალერმოც“ მის სრულად გამოჯანმრთელებას მოუთმენლად ელის.

როგორც შევიტყვეთ, ჩვენიანი ამ უქმეებზე არა, მაგრამ მომდევნო კვირას კი შეძლებს თამაშს.

**ილია ნანოგაშვილი**

# კობიაშვილი და სხვანი...

**გელზენკირხენის** „შალკემ“ სტუმრად „კარლსრუეს“ 3:0 სძლია და ცხრილში საგრძნობლად აინაცვლა. წაგებულთაგან ალექსანდრე იაშვილმა 77 წუთი ითამაშა და ორჯერ სახიფათოდ დაარტყა კარში, „ხუმარებიდან“ კი ლევან კობიაშვილი შეუცვლელი გახლდათ და ერთხელ უნაღდესი მომენტი გაანიავა, როცა რაფინიას პასის შემდეგ კარს ვერ დაუმიზნა.

ლევან ყენიას არ უთამაშია...

მეორე ბუნდესლიგაში „აუგსბურგის“ ოთარ ხიზანეიშვილი კვლავაც უქმობდა, მისიანებმა კი შინ 2:2 ითამაშეს „ფრანკფურტთან“.

ლატვიაში რიგის „სკონტომ“ „დაუგავასთან“ 1:2 დათმო და მეორე ადგილი სათუო გაუხდა. რიგელთა ქართველებმა, დავით გამეზარდაშვილმა და ლადო დვალიშვილმა სრულად ითამაშეს.

კვიპროსზე „ანორთოსისმა“ მოულოდნელად 0:4 დათმო „ომონიასთან“ და 39-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა — კვიპროსის ჩემპიონატში თემურ ქეცბაიას გუნდმა ბოლოს წლინახევრის წინ წააგო და მაშინაც „ომონიას“ დაეჩაგრინა.

ჩეხეთის თასზე კი „პლზენმა“ 7:1 მოუგო მესამელიგელ „ჰლავიცეს“. დიმიტრი ტატანაშვილმა ბოლო 35 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლი არ გაუტანია...

**ილია ნანოგაშვილი**



„შალკეს“ პირველი საგოლე კომბინაცია ლევან კობიაშვილმა (№3) დაიწყო



# ჯერ არ დავბერებულვარ

## ზურაბ ხიზანიშვილი ბლექბერნის პასუხს ელის

**ის,** რომ ზურაბ ხიზანიშვილმა მალე, შესაძლოა, გუნდი შეიცვალოს, საიდუმლო არ არის და ამის თაობაზე კარგა ხნის წინ გვეწერა.

მოგეხსენებათ, 27 წლის ქართველი მცველი ინგლისურ „ბლექბერნ როვერსში“ 2006 წელს გადავიდა შოტლანდიური „რეინჯერსიდან“, თავიდან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელიც იყო, მაგრამ ამ სეზონში სასტარტო თერთმეტეულში ვეღარ ხვდება. გუნდიდან მისი შესაძლო წასვლის თაობაზე ლაპარაკი კი ლონდონური „ვესტ ჰემის“ ახალი მწვრთნელის, ჯანფრანკო ძოლას იმ განცხადებას მოჰყვა, დაცვის ხაზის გაძლიერების აუცილებლობას რომ ეხებოდა და ზურაბ ხიზანიშვილი სასურველ ფეხბურთელად იყო მოხსენიებული.

ზურაბ ხიზანიშვილთან მცირე ინტერვიუ „სკაი-სპორტსის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა..

„თითოეული ფეხბურთელი უკეთეს ვარიანტს ეძებს — ამბობს ხიზანიშვილი — ბრწყინვალეა, იყო „ბლექბერნში“ და თამაშობდე პრემიერლიგაში. მეორე მხრივ კი, მე ჯერ არ ვარ 32-33 წლის ვეტერანი, მცირე დროით თამაში რომ მაკმაყოფილებდეს. მინდა, რომ რეგულარულად შემადგენლობაში ვიყო და ვითამაშო. ამ მხრივ, ახლა ცოტა მძიმე პერიოდი მაქვს. „ბლექბერნში“ რომ გადმოვედი, თითქმის მუდმივად მიწევდა თამაში, ამ სეზონში კი უკვე ცხრა ტურია, არ მითამაშია. ცხადია, ამით კმაყოფილი ვერ ვიქნები“.

ამის მერე „სკაი-სპორტსი“ გვახსენებს, რომ ხიზანიშვილის ბედი „ბლექბერნის“ ხელშია — უახლოეს მომავალში კლუბის ბოსებს და ფეხბურთელს დალაპარაკება აუცილებლად მოუწევთო და, ხიზანიშვილის მორიგ კომენტარსაც გვთავაზობს: „სულაც არ მსურდა კლუბთან ჩემი მომავლის თაობაზე დალაპარაკება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ვერ ავცდებით. „ბლექბერნში“ კონტრაქტით კიდევ ორ-ნახევარი წელი უნდა ვიყო. აქაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ ბიზნესი ბიზნესია. დღეს აქ ხარ, ხვალ კი, შესაძლოა, სხვაგან აღმოჩნდე. საუბრის შემდეგ, შესაძლოა, „ბლექბერნში“ დავრჩე, ეს კლუბის გადასაწყვეტია. ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი, ველოდები, რას მეტყვიან“.

**ოთარ მხეიძე**

# საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №83

## ჯანფრანკო ძოლა



უამრავი სტილის ფეხბურთელი არსებობს, მაგრამ ისეთი არცთუ ბევრია, რომელსაც ჰქონდეს ტექნიკაც, ჭკუაც, ბრძოლისუნარიანიც იყოს, სხვა გუნდების ფანებიც პატივს სცემდნენ და პიროვნულადაც გამორჩეული იყოს. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ჯანფრანკო ძოლა — „პატარა ჯადოქარი".

ტანჩია იტალიელი თამაშობდა თავისი სიამოვნებისთვის და ამით უამრავ ადამიანს ანიჭებდა დიდ სიამოვნებას. შეიძლებოდა, უფრო წარმატებულიც ყოფილიყო და ბევრად მეტისთვის მიეღწია, მაგრამ ძოლამ ისედაც საკმაო რაოდენობის ჯილდოები მოიგო და ამბიციები განსაკუთრებულად არასოდეს აზრჩობდა.

ძოლა 1966 წლის 5 ივლისს სარდინიაზე, ოლიენაში დაიბადა. სათამაშო კარიერის პირველი ნაწილი სამშობლოში გაატარა, მეორე კი ინგლისში, კერძოდ, ლონდონის „ჩელსიში", სადაც დიდი აღიარება მოიპოვა.

„პატარა ჯადოქარმა" კარიერა 1984 წელს „ნუორეზეში" დაიწყო, რასაც „ტორესი" მოჰყვა. 1989 წელს „ნაპოლიში გადაბარგდა, სადაც ლეგენდარულ დიეგო არმანდო მარადონასთან ერთად თამაშის პატივი ხვდა წილად. 1993-1996 წლებში ძოლა „პარმას" ღირსებას იცავდა, საიდანაც „ჩელსის" მიაშურა და ლონდონელებში 2003 წლამდე დარჩა, სანამ „კალიარიში" გადაბარგდებოდა და კარიერაც სარდინიელთა რიგებში დაასრულა 2005 წელს.

მარადონასთან ერთად ყოფნამ ძოლაზე დიდი გავლენა მოახდინა. იგი ბრწყინვალედ ურტყამდა ჯარიმებს და, როგორც შემდგომში განაცხადა, ეს დიეგოსგან ისწავლა.

1990 წელს „პატარა ჯადოქარმა" „ნაპოლისთან" ერთად სერია A მოიგო. „პარმასთან" ერთად გახდა უეფას თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი, ასევე თასების თასის და იტალიის თასის ფინალისტი და 1995 წელს სერია A-ს ვიცე-ჩემპიონი.

აბსოლუტურად ცალკე თემაა „ჩელსი". ლონდონელებს იმ პერიოდში ძალიან სიმპათიური გუნდი ჰყავდათ, რომელიც ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და სხვა გუნდების ფანებშიც იწვევდა სიმპათიას, ისევე, როგორც ძოლა.

ტანჩია იტალიელმა თავისი საოცარი ტექნიკითა და თამაშის სტილით, მალევე შეაყვარა ქომაგებს თავი და მოგვიანებით „ჩელსის" ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედაც დასახელდა.

ძოლა პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეთა სიაშიც შედის და სავსებით დამსახურებულადაც. 1997 წელს იგი ინგლისში წლის ფეხბურთელად დაასახელეს. 1999 და 2003 წლებში „ჩელსის" წლის ფეხბურთელად, ამავე წლებში გახდა ლონდონელთა საუკეთესო ბომბარდირი. 2003 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში აირჩიეს „ჩელსის" ისტორიაში საუკეთესოდ, ხოლო 2007 წელს 1990-იანების საუკეთესო მოთამაშედ. 2004 წელს ჯანფრანკოს მიენიჭა ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის წოდება.

„ჩელსისთან" ერთად ძოლამ ორჯერ მოიგო ასოციაციის თასი, ერთხელ — „ქომიუნითი შილდის" თასი, ლიგის თასი, თასების თასი და ევროპის სუპერთასი.

1998 წელს თასების თასის ფინალში, ძოლა მხოლოდ მოგვიანებით შევიდა მინდორზე, რადგან ტრავმა აწუხებდა და „ჩელსიმ" გერმანულ „შტუტგარტს" სწორედ მისი გოლით მოუგო. „პატარა ჯადოქარმა" მინდორზე შესვლიდან 21 წამში, ბურთზე ფეხის მეორე შეხებით გაიტანა.

იტალიის ნაკრებში მისი კარიერა არცთუ წარმატებული გამოდგა. დებიუტი 1991 წლის ნოემბერში ნორვეგიასთან შეხვედრაში შედგა. არიგო საკიმ იგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანა, სადაც იტალიის ნაკრები ფინალში პენალტების სერიაში ბრაზილიასთან დამარცხდა. ძოლა ნიგერიასთან შეხვედრაში აბსოლუტურად უსამართლოდ გააძევეს მინდვრიდან და იმ შეხვედრაში „სკუადრა ადურას" ეს კინაღამ ძვირად დაუჯდა. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე იტალია, რომელსაც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევდნენ, სენსაციურად ჯგუფში ჩარჩა. ძოლამ კი გერმანიასთან გადამწყვეტ შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანა.

1998 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე იტალიამ ინგლისს „უემბლიზე" 1:0 მოუგო და ის ერთადერთი გოლი ძოლამ შეაგდო. 1997 წლის ოქტომბერში რომში ინგლისთან მეორე შეხვედრაში „პატარა ჯადოქარმა" ბოლოჯერ მოირგო „სკუადრა ადურას" ფორმა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, რამაც კამათი გამოიწვია. ძოლამ იტალიის ღირსება სულ 35-ჯერ დაიცვა და 10 გოლი გაიტანა.

სათამაშო კარიერის დასრულების მერე, ძოლამ მწვრთნელობა დაიწყო. იგი ნაკრებშიც და კლუბშიც ყოფილი მეწყვილის, პიერლუიჯი კაზირაგის თანაშემწე გახდა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში. წელს კი, კერძოდ, 9 სექტემბერს ლონდონის „ვესტ ჰემს" სამწლიან კონტრაქტზე მოურიგდა და ამჟამად „ჩაქუჩებს" თავკაცობს.

ლეგენდა №84

## პრემიერლიგის უსწრაფესი ჰეთ თრიქი

პრემიერლიგის უსწრაფესი ჰეთ თრიქი რობი ფაულერს ეკუთვნის. „ლივერპულის" ლეგენდამ სამი ბურთის გატანა 4 წუთსა და 33 წამში შეძლო, თანაც ლონდონის „არსენალის", კერძოდ კი დევიდ სიმენის კარში.

ეს 1994 წლის 28 აგვისტოს მოხდა. „ენფილდზე" გამართულ შეხვედრას 30 ათასზე მეტი ქომაგი დაესწრო, რომლებმაც იხილეს, თუ როგორ გაიბრწყინა მაშინ ჯერ კიდევ 19 წლის უნიჭიერესმა ფაულერმა. ის შეხვედრა მერსისაიდელებმა 3:0 მოიგეს.

უნიკალური მიღწევა აქვს ნორვეგიელ ოლე გუნარ სოლსკიაერსაც, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით 13 წუთში 4 გოლის გატანა შეძლო. ეს 1999 წლის თებერვალში მოხდა, როცა „წითელმა ეშმაკუნებმა" სტუმრად 8:1 მოუგეს „ნოტინგემ ფორესტს". შეცვლაზე შესულმა სოლსკიაერმა, ისედაც გასაჭირში მყოფი ნოტინგემელების დაცვა და მეკარე ააწიოკა.

# გადაწყვეტილია, გამოცხადებული კი არა



დიეგო მარადონა

**თბილისიდან** ბუენოს აირესს დაბრუნებულმა, არაჯანსაღი ქართული ქცევით შეურაცხყოფილმა, გაბრაზებულმა და დაღლილმა დიეგო მარადონამ თავი სამშვიდობოს. რომ იგრძნო, ერთი ამოისუნთქა და განაცხადა, არგენტინის ნაკრების მწვრთნელობას აღარაფერი მიკლიაო. როგორც სააგენტო „რეიტერი" იუწყება, დიეგოს თანამდებობაზე დანიშვნა ეროვნული გუნდის მწვრთნელთა შორის კარლოს ბილარდოს ავტომატურ გამოჩენასაც ნიშნავს — ბილარდო ის კაცია, ვინც 1986 წლის არგენტინა, რომელსაც დიეგო მარადონა კაპიტნობდა, მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

„მილოცვა ჯერ ადრეა, მაგრამ ნაკრების გაწვრთნა ის იდეაა, რომელიც ნამდვილად მხიბლავს — განუცხადა მარადონამ საკაბელო ტელეკომპანია „ფოქს სპორტს" სატელევიზიო ინტერვიუში მას მერე, რაც ზემოხსენებულ ბილარდოსა და არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას შეხვდა — ჩვენ ხვალაც გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს".

მაგრამ, ზოგი ტელეარხისა თუ საინტერნეტო საიტის ცნობით, სინამდვილეში ყველაფერი უკვე მოლაპარაკებული და გადაწყვეტილია. ოფიციალურად კი არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია აცხადებს, რომ მწვრთნელის ვინაობას 4 ნოემბერს დაასახელებს.

„ჩვენი აღმასკომი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ სამშაბათს შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ" — წერია ასოციაციის განცხადებაში.

ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, მაგრამ, იმავდროულად, არამყარი გუნებ-განწყობის მქონე ადამიანისთვის ნაკრების საჭის ჩაბარება არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის მხრივ დიდ რისკზე წასვლაა. შეგახსენებთ, რომ რაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, ის ხან ნარკოტიკებისთვის თავის დასანებებლად მკურნალობს, ხან სმისგან სერიოზულად დაავადებულ ღვიძლს იამებს და ხანაც ზედმეტი წონის მოსაშორებლად ქონებს იჭრის. რაც შეეხება მწვრთნელობას, 90-იან წლებში მან ორჯერ სცადა ამ პროფესიაში ძალის მოსინჯვა, პირველად „დეპორტივო მანდიუში", მეორედ კი „რასინგში", მაგრამ, როგორც მწვრთნელი, ორივეჯერ არაფრისმთქმელი გახლდათ.

დიეგო მარადონა: „მინდა, დანიშვნისთანავე შევუდგე მუშაობას, ჯერ არგენტინულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებთან, შემდეგ კი თვითმფრინავში ჩავჯდე და ევროპაში გასულ ლეგიონერებს ჩავაკითხო. ახლა, ამ პროექტის დამტკიცება გრონდონაზეა, თუმცა, მგონი, მას სხვა კანდიდატურაზე სერიოზულად არც უფიქრია".

ეს სიტყვები მან რადიო „ლა რედს" უთხრა.

სხვა კანდიდატები იყვნენ სერხიო ბატისტა, რომელმაც არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებს გასულ ზაფხულს პეკინის ოლიმპიადა მოაგებინა, კარლოს ბიანკი და მიგელ ანხელ რუსო.

პაპუნა ძიძია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერდერი დაიკარგა



კრისტიან ფანდერი

## გერმანია

### ბუნდესლიგა. X ტური

**კალსრუე 0:3 შალკე**

0:1 ბორდონი (15), 0:2 კურანი (19), 0:3 ფარფანი (67)

კალსრუე: მილერი, გიორლიცი, სებასტიანი, ფრანცი, აიხნერი, მუცელი (შტოლი 59), პორჩელო, ფრაიზი, და სილვა, იაშვილი (კარნელი 77), კენედი (ტიმი 71)

მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, კობიაშვილი, ჯოუნსი, ენგელარი (ერნსტი 74), რაკიტიჩი, ფარფანი (ასამოა 69), ჰალილ ალთინთოფი (შტრაიტი 80), კურანი

მწვრთნელი: ფრედ რუტენი

გაფრთხილება: კარნელი, ფრანცი, ფარფანი, ფრანცი, ენგელარი

გაძევება: ფრანცი (56)

მსაჯი: ფანდელი

29 164 მაყურებელი

**ვერდერი 0:2 ლევერკუზენი**

0:1 ვიდალი (71), 0:2 ფრიდრიხი (80)

ვერდერი: ფანდერი, პრიოდლი (ბოონიში 67), მერტეზაკერი (ვრანიეში 78), ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ფრინგსი, პუნტი (პუსეინოვიჩი 60), იოზილი, როსენბერგი, ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შააფი

ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, ფრიდრიხი, ენრიკე, კადლეცი, რონფესი, აუგუშტუ (დუმი 86), ვიდალი, შვეგლერი (ბარნეტა 69), კისლინგი, ჰელმესი (გეკასი 77)

მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია

გაფრთხილება: პრიოდლი

მსაჯი: ზიპელი

37 142 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:0 გლადბახი**

1:0 გრაფიტე (40პ), 2:0 მადლუნგი (55), 3:0 მისიმოვიჩი (75პ)

ვოლფსბურგი: ბენალიო, რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, შეფერი, ცოსუე, ჰასებე (ძაკარდო 62), გენტნერი, მისიმოვიჩი (კაიუბი 86), გრაფიტე (დეჟაგა 74), ძეკო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გლადბახი: ლიომპე, კლაინე, პააუვე, დამსი (ბროუვერსი 46), სვერდი, ფოიგტი, ალბერმანი, მატმური, ბრედლი (მარინი 58), ვან დენ ბერგი (ნოივილი 69), ფრენდი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: შეფერი, სვერდი, პააუვე, ფრენდი, ფოიგტი, ბროუვერსი

მსაჯი: კემპერი

22 580 მაყურებელი

**არმინია 1:1 კოტბუსი**

0:1 რანგელოვი (31), 1:1 ვიხნიარეკი (63)

არმინია: აილჰოფი, ლამეი (ფიშერი 72), ჰერცოგი, ბოლმანი, შულერი, კაუფი (ისიჩი 46), კუჩერა, ტეშე, კატონგო, ჰალფარი (ფერზიკი 72), ვიხნიარეკი

მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი

კოტბუსი: ტრემელი, პავიჩევიჩი, კუკელკა, ცაგდაში, ციბიგი, კურტი (რადელიჩი 90), როსტი, რივიჩი (ვასილევიჩი 78), სკელა (შაო 89), სიორენსენი, რანგელოვი

მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი

გაფრთხილება: ბოლმანი, როსტი, შულერი, ტეშე, ჰერცოგი, ვასილევიჩი, ჰალფარი

გაძევება: რანგელოვი (44)

მსაჯი: რაფატი

18 200 მაყურებელი

**უკან-უკან** მიდის „ვერდერის" საქმე. ზედიზედ ექვს მატჩში ერთიც ვერ მოიგო. ეტყობა, გუნდი ძალიან მიწებებულია დიეგოზე, რადგან მის გარეშე შეტევა დაუჩლუნგდა. ბრაზილიელმა ბოლო ორი ტური გამოტოვა და უმისოდ სამადლოდ ერთი გოლი ძლივს გაიტანეს. ტიმ ვიზეს შემცვლელი მეკარე ფანდერიც ურევს.

„ვერდერმა" „ლევერკუზენთანაც" იწვალა და წააგო. არტურო ვიდალმა ფანდერის უხეიროდ მოგერიებული ბურთი შეაგდო კარში, მანუელ ფრიდრიხმა კი ძელიდან უკუგდებული შეაბრუნა.

„ჩვენი თამაში დავკარგეთ და სულ ერთსა და იმავე შეცდომას ვიმეორებთ" — დაიჩივლა თომას შააფმა.

„ლევერკუზენმა" მიჯრით მესამე მატჩი 2:0 მოიგო და ისეთ ფორმაშია, რომ შემოდგომის ჩემპიონობასაც წაეპოტინება.

„ვერდერზე" უარეს დღეშია „კარლსრუე", რომელმაც ბოლო ოთხ ტურში ოთხი მარცხი იწვნია. „არმინიასთან" საშინაო ფრის შემდეგ, „შალკე" მწვრთნელმა ისე შეაჯანჯღარა, რომ გუნდმა კარლსრუეში საქმე 20 წუთში მოამთავრა. პირველი საგოლე კომბინაცია ლევან კობიაშვილმა დაიწყო და მარსელო ბორდონმა დაასრულა, კევინ კურანიმ და ჯეფერსონ ფარფანმა კი თავებით გაიტანეს და „შალკემ" სტუმრად პირველი გამარჯვება მიითვალა.

„ვოლფსბურგის" სასარგებლოდ ორ ტურში უკვე სამი პენალტი დანიშნეს. ერთი — გასულ შაბათს „ბაიერნთან" სტუმრად და ორიც — გუშინწინ „გლადბახთან". გრაფიტემ თერთმეტი მეტრიდან მიუნხენშიც გაიტანა და შინაც. მესამესაც დაარტყამდა, მაგრამ იმ მომენტისთვის, როცა „გლადბახის" კარში მეორე პენალტი დადეს, გრაფიტე უკვე შეცვლილი იყო და დარტყმა მისიმოვიჩმა იკისრა.

ბილეფელდში ორი აუტსაიდერის შეხვედრა ქულების გაყოფით დასრულდა. „კოტბუსი" რანგელოვის გოლით უგებდა „არმინიას", მაგრამ რანგელოვმა ერთი ყვითელი ბარათის მიღება გოლამდე მოასწრო, მეორე კი ტაიმის მიწურულს და გააძევეს.

კაცნაკლულ მეტოქესთან მარცხისგან „არმინია" არტურ ვიხნიარეკმა იხსნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯოი, ჯო და შამპანური



ჯო კინეარი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**ნიუკასლი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბარტონი (10პ), 2:0 მარტინსი (42), 2:1 მილერი (65)

ნიუკასლი: გივენი, ბეიე, ტეილორი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, დაფი, გეტრი, ბარტონი, გუტიერესი (დერემი 70), მარტინსი (ხისკო 77), ამეობი (კეროლი 90)

მწვრთნელი: ჯო კინეარი

ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუიველოონი, დონკი, ჰოლსონი, რობინსონი, კორენი, მორისონი, ბრუნტი (მილერი 54), ბორხა ვალერო, გრინინგი, ბედნარი (მური 67)

მწვრთნელი: ტონი მოუბრეი

გაფრთხილება: დონკი, რობინსონი, ბედნარი, მური

მსაჯი: მაიკ დინი

45 801 მაყურებელი

**„ეს შამპანურია?** — იხუმრა ჯო კინეარმა, როცა საპრესკონფერენციოში მაგიდაზე წყლიანი ბოთლი დაინახა — არა? მაშინ მოგვიანებით იქნება".

„ნიუკასლს" 23 აგვისტოს მერე არ მოეგო და „ვესტ ბრომვიჩთან" ელირსა.

კევინ კიგანის შემცვლელი ჯო კინეარის ხელში გუნდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა და საღამოს შამპანურსაც ჩაარაკრაკებდნენ.

ნაციხარმა ჯოი ბარტონმა სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშა და მეათე წუთზე პენალტი გაიტანა — მეპენალტე ობაფემი მარტინსი ნიშნულთან არ მიუშვა.

მარტინსმა მაინც შეაგდო ტაიმის მიწურულს თავით და ყირაზეც გადავიდა. აღსანიშნავია, რომ „ნიუკსლი" ბოლო შვიდ მატჩში მოედნიდან უგოლოდ არ გასულა.

შეცვლაზე შესვლიდან ათ წუთში ისმაელ მილერი მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ცარიელ კარში გაიტანა. „ვესტ ბროვიჩს" ქულის გადარჩენის იმედი გაუჩნდა, მაგრამ მიჯრით მესამე წაგებას ვერ ასცდა.

„ბარტონს რომ ვერ გაეტანა, არ ვიცი, რა მოხდებოდა. პენალტებს მარტინსი ასრულებს, მაგრამ ბურთი ჯოის ხელში დავინახე და გამიხარდა კიდეც. ძალიან მებრძოლი ბიჭია. ძირითადში რომ დავაყენე, გასახდელშივე თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა" — თქვა კინეარმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მესი მარადონას ემხრობა

**დიეგო მარადონა** არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ინიშნება და ამ ამბავს „ალბისელესტეს" ლიდერი, ესპანური „ბარსელონას" შემტევი ნახევარმცველი ლეო მესი გამოეხმაურა.

„ვიცი, რომ დიეგო ძალიან მაფასებს და ვფიქრობ, რომ მასთან უთანხმოება არ მექნება. მის დანიშვნაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. დიეგო უდიდესი ფეხბურთელია და მე მისით აღფრთოვანებული ვარ. მარადონამ არგენტინული ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და მის კანდიდატურას ოპტიმისტურად ვუყურებ.

არგენტინისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების დრო დადგა" — აღნიშნა ლეომ.

შეგახსენებთ, რომ მარადონასთვის პირველი ევროპული კლუბი სწორედ „ბარსელონა" იყო, სადაც დიდი დიეგო თავისი სათაყვანებელი, „ბოკა ხუნიორსიდან" გადავიდა და ორი წლის განმავლობაში 58 შეხვედრაში 38 გოლი გაიტანა.

**არჩილ ძოწახიძე**



## რუსეთი

### პრემიერლიგა

**ლოკომოტივი 3:0 შინიკი**

**ზენიტი 2:2 სატურნი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 26 | 17 | 6 | 3 | 40:16 | 57 |
| ცსკა | 26 | 14 | 8 | 4 | 45:21 | 50 |
| დინამო | 26 | 12 | 8 | 6 | 35:28 | 44 |
| ამკარი | 26 | 11 | 8 | 7 | 25:20 | 41 |
| ზენიტი | 26 | 10 | 10 | 6 | 53:34 | 40 |
| სპარტაკი | 26 | 10 | 10 | 6 | 39:33 | 40 |
| კრილია | 26 | 9 | 11 | 6 | 36:25 | 38 |
| ლოკომოტივი | 26 | 10 | 8 | 8 | 31:28 | 38 |
| მოსკვა | 26 | 8 | 10 | 8 | 27:28 | 34 |
| ნალჩიკი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:33 | 30 |
| ტერეკი | 26 | 8 | 6 | 12 | 21:36 | 30 |
| სატურნი | 26 | 6 | 10 | 10 | 23:27 | 28 |
| ტომი | 26 | 7 | 6 | 13 | 21:34 | 27 |
| ხიმკი | 26 | 5 | 8 | 13 | 30:48 | 23 |
| ლუჩ-ენერგია | 26 | 3 | 11 | 12 | 22:45 | 20 |
| შინიკი | 26 | 4 | 6 | 16 | 24:43 | 18 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. პლეი აუტი

**ვიკინგიტი 1:2 კპს**

### თასი

**ჰიკ 5:0 ვაასა**

**ჰაკა 0:1 ჰონკა**

## ხორვატია

### თასი

**დრაგოვოლიაცი 0:6 დინამო**

**კონავლიანინი 0:2 ჰაიდუკი**

**მოსლავინა 0:2 სლავენი**

**ორიოლიკი 0:4 ციბალია**

**პომორაცი 1:0 ვარტექსი**

**ზაგორა 2:1 კარლოვაცი**

**ზადარი 2:2დ.დ. (1:1, 6:7პ) რიეკა**

**ზაპრეშიჩი 0:2 ზაგრები**

## ჩეხეთი

### თასი

**ჰლავიცე 1:7 პლზენი**

**ჰრ. კრალოვე 0:1 ტეპლიცე**

**იაბლონეცი 1:2 ზლინი**

**სლოვაცკო 1:1(7:6პ) კლადნო**

**სპარტა 2:0 ბოჰემიანსი**

## ლატვია

### ვირსლიგა

**დაუგავა 2:1 სკონტო**

**მეტალურგსი 3:0 რიგა**

## სლოვაკეთი

### თასი

**ჟილინა 1:0 ტრნავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძიმე ამბავი ლაითზე

## ბარტონი, ბოთლები და ხურდა



ცემას გადარჩენილი
შეი გივენი (მარჯვნივ)



ჯოი ბარტონმა „ნიუკასლის" ემბლემაზე
ამბორით სანდერლენდელი ფანობა გადარია

**რამდენიმე** დღის წინ პრემიერლიგა „ლაითის“ სტადიონზე მომხდარმა ამბავმა შეაშფოთა. როგორც გაზეთი The News Of The World ამბობს, ეს იყო ყველაზე საზიზღარი არეულობა და შფოთი, რაც ინგლისში ამ სანაქებო ლიგის დაარსების (და არა საერთოდ, ინგლისის ჩემპიონატების ისტორიაში) შემდეგ მომხდარა. საქმე ეხება „სანდერლენდისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ შეხვედრის დროს ამტყდარ ორომტრიალს, რომლის შედეგადაც პოლიციამ იქვე 29 ადამიანი დაიჭირა, ცხენოსან პოლიციელ ქალს მაშხალა გაარტყეს, წესრიგის კიდევ ერთ მცველს მაჯა გაუტეხეს, „ნიუკასლის“ ნახევარმცველი ჯო ბარტონი ბოთლებითა და ხურდა ფულით კინაღამ ჩაქოლეს და ტრიბუნებიდან აგლეჯილი სკამები სათამაშო მინდორზე გადაყარეს. ერთი სიტყვით, ადგილობრივ დეტექტივებს საქმე გვარიანად დაუგროვდათ.

ნორსამბრიის პოლიციის შეფი ნილ მაკკეი: „ამის ჩამდენთა მენტალიტეტის ამოცნობა ძალიან ძნელია. მოთავეთა და აქტიურ მონაწილეთა ვინაობის დასადგენად გამოძიება გრძელდება. ეჭვმიტანილებს კიდევ დავაპატიმრებთ“.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მომხდარი, რასაკვირველია, დაგმო. მართლაც, რა მოსაწონია იმის ხილვა, თუ როგორ იბრძვის წესრიგის აღსადგენად მოწოდებული საგანგებო დანიშნულების რაზმი გამძვინვარებულ ფანებთან და როგორ ინგრევა გარშემო ყველაფერი.

აყალმაყალი კი იმით დაიწყო, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფეხბურთელ ჯოი ბარტონს, რომლის შესახებაც „სარბიელმა“ უამრავჯერ გიამბოთ (გახსოვთ, „მანჩესტერ სიტიში“ თამაშის დროს თანაგუნდელი ოსმან დაბოს ცემისა და ლივერპულის მაკდონალდსში 16 წლის ბიჭის ჩაწიხვლის ამბები?), მოედანზე შესვლის წინ უსტვინეს და რამდენიმე ბოთლიც ესროლეს, მან კი პასუხად მაისურზე მიკერებულ „ნიუკასლ იუნაიტედის“ ემბლემას აკოცა, რითაც მასპინძელი ტრიბუნები გააცოფა. ამის შემდეგ, „კაჭკაჭების“ მეკარე შეი გივენს მიეჭრა მოედანზე ჩამხტარი ორი გადარეული (ეს მაშინ მოხდა, როდესაც კირ რიჩარდსონმა „სანდერლენდის“ გამარჯვების გოლი გაიტანა) და ცემა დაუპირა. ფეხბურთელის დასახმარებლად მსაჯი მაიკ რაილი მივარდა. კულმინაცია კი საფინალო სასტვენს მოჰყვა: ტრიბუნებიდან ასეულობით ფანი ჩახტა. ადგილობრივებმა ჩამოსულებს ჩხუბი დაუწყეს. თავს დაესხნენ სტიუარდებს, პოლიციამ კი კონტროლი დაკარგა.

ფეხბურთის ასოციაციამ გამოძიება იმავე დღეს დაიწყო. ორგანიზაციის პრესმდივანმა განაცხადა: „სრული სურათის შესაქმნელად დავუკავშირდებით როგორც ადგილობრივ პოლიციას, ასევე ორივე გუნდის წარმომადგენლებს და თითოეული მათგანის ვერსიას მოვისმენთ. ჩვენი პოზიცია მყარია და მკაფიო. ნებისმიერი გულშემატკივარი, რომელსაც ამხელენ, სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცემა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. გარდა ამისა, როგორც „სანდერლენდს“, ასევე „ნიუკასლ იუნაიტედს“ მოვუწოდებთ, ნებისმიერი ფანი, რომელსაც არეულობაში მონაწილეობას დაუმტკიცებენ, მოკვეთონ. ხულიგნების მიმართ, სულ მცირე, სამუდამო დისკვალიფიკაციას ველით. ასეთი სცენები ჩვენ გვზარავს და ამიტომ, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა პოლიციისა და ორივე კლუბის წარმომადგენელთა დახმარებით დამნაშავენი ჯერ მაქსიმალურად გამოვავლინოთ და მერე, მაქსიმალურად დავსაჯოთ“.

ცნობისთვის: იმ დღეს „სანდერლენდმა“ თავის მოედანზე 1980 წლის შემდეგ პირველად მოუგო „ნიუკასლ იუნაიტედს“. ამ საქმეს სათავეში მწვრთნელი როი კინი ედგა. მან თქვა:

„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი გუნდისთვის ყველაფერი კარგად დასრულდება და გამოძიების შედეგები და სანქციები არანაირად არ შეეხება იმას, რასაც ფეხბურთელებმა მიაღწიეს. მერწმუნეთ, მაყურებლის მოედანზე ნახვა არავის სიამოვნებს. უსაფრთხოებას მომავალში გაორმაგებულ ყურადღებას მივაქცევთ. მეორე მხრივ, მართალი გითხრათ, არ ვიცი, ზუსტად რა და როგორ ხდებოდა თამაშის ბოლოს. თუ გგონიათ, რომ მე „სანდერლენდის“ გულშემატკივრების კრიტიკას დავიწყებ, ძალიან ცდებით. ამ საკითხებზე ფეხბურთის ასოციაცია იზრუნებს, მე კი ყურადღება თავიდან ბოლომდე მოედნისკენ მქონდა მიმართული, განსაკუთრებით კი, სწორედ მატჩის ბოლოსკენ. რას იზამ, ფეხბურთი ემოციური თამაშია...“

ჯორდების მწვრთნელი ჯო კინეარი: „თამაშს ვუყურებდი და ბარტონისთვის ბოთლის სროლის ამბავი არ დამინახავს. მოედანზე მის გაყვანას კი იმთავითვე ვაპირებდი, ის ხომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფეხბურთელია. ბარტონი ერთი ჩვენგანია და მას, რაც შეიძლება მეტ შეხვედრაში ვათამაშებ. რაც შეეხება არეულობას, რა მოქმედებამ რა შედეგი გამოიწვია, ჩემთვის სულერთია. პოლიცია არც კი დამინახავს. არადა, იქ ყოფილა. რას მიკეთებდა? ჯო ბარტონისთვის მომხდარის დაბრალება უსამართლობაა“.

დასასრულს კი ბარტონზე კიდევ ასეთი რამის თქმა შეიძლება: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაისმა თუ არა საფინალო სასტვენი, მოედანს ფანები მოედნენ. სანდერლენდელები ჯიქურ გაემართნენ იმ მხარეს, სადაც ნიუკასლელები ეგულებოდათ. არც ჯორდები გამოდგნენ ჯაბანნი. მათკენ გამოვარდნილი ბრბო რომ დაინახეს, ისინიც მოედანზე ჩახტნენ და „მტერს“ დახვდნენ. ამ დროს ფეხბურთელები ჯერ კიდევ მოედანზე იყვნენ. ისინი გასახდელისკენ მიემართებოდნენ და ბარტონმა სწორედ ამ დროს დაუკრა ნიუკასლელ ფანებს კიდევ ერთი ტაში, რამაც ბოთლების წვიმა გააძლიერა...

**პაპუნა ძიძია**





# რა სარგებლობა მოაქვს ჰაინცეს?




**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ყოფილმა მცველმა, დღეს მადრიდის „რეალის“ მოთამაშე გაბრიელ ჰაინცემ თქვა, რასაც სერ ალექს ფერგიუსონი კრიშტიანუ რონალდუს ამბავზე ყვება, სულ ტყუილია, მაგ კაცის ერთ სიტყვასაც არ ენდოთო. რამ მოანდომა არგენტინელს, ასე უცბად, ყოფილი მწვრთნელის გაკრიტიკება? რამ და თავად სერ ალექსის მიერ ჟურნალ GQ-ში ერთი კვირის წინანდელმა ნათქვამმა, თავის დროზე „რეალმა“ ჰაინცე იმიტომ იყიდა, რომ ის რონალდუს ძმაკაცია და პორტუგალიელისთვის სატყუარად სჭირდებოდაო. მიხვდით, ხომ? ესე იგი, „რეალმა“ გულში რონალდუს ყიდვა ჩაიდო და იფიქრა, მოდი, ჯერ მის მეგობარ ჰაინცეს ვიყიდი და როდესაც შემდეგ პორტუგალიელს მივადგები, თანხმობისთვის დამატებითი მიზეზი ექნებაო.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჰაინცემ ფერგიუსონის თეორია სასტიკად უარყო და მეტიც, დასძინა, რონალდუ „ოლდ ტრეფორდიდან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მართლაც რომ გადმობარგებულიყო, დღეს კიდევ უფრო მაღალი კლასის ვარსკვლავი იქნებოდაო.

ჰაინცემ თქვა: „ის თეორია, თითქოს „რეალმა“ იმიტომ მიყიდა, რომ ერთი წლის შემდეგ რონალდუს შეძენა ჰქონდა გეგმაში და სატყუარად ვჭირდებოდი, სრული ფანტაზიაა. მე და კრიშტიანუ მართლაც ახლო მეგობრები ვართ, მაგრამ მას თავისი მომავალი ჩემს მიხედვით არასდროს დაუგეგმავს. კრიშტიანუ ჭკვიანი ადამიანია და გეგმების შედგენისას იმით ხელმძღვანელობს, თუ რა იქნება მისთვის უკეთესი და რა — არა. ზოგადად, თუ „რეალზე“ რამეს მკითხავს, ბუნებრივია, ვუამბობ, მაგრამ პროვოკატორი ნამდვილად არ ვარ.

გასულ თვეებში ფერგიუსონმა ჩემზე რამდენჯერმე ილაპარაკა, რაც ძალიან გამიკვირდა. მეგონა, დავავიწყდი. მართალი გითხრათ, ვერც გავიგე, რაში სჭირდებოდა ჩემი გახსენება. მერედა, ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოსია და მისი ნათქვამის გაპროტესტება ძნელია, ყოველთვის მიიჩქმალები. მართალი გითხრათ, ამან რამდენჯერმე „მანჩესტერში“ ყოფნის პერიოდშიც დამაყენა პრობლემის წინაშე. საბედნიეროდ, ახლა მასთან აღარ ვთამაშობ და ჩემს ნათქვამს ვეღარ დაბლოკავს.

პირდაპირ გეტყვით, კრიშტიანუ მადრიდში გაცილებით დიდ ფეხბურთს ითამაშებდა, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს. ასეთია ჩემი შეხედულება და, შესაბამისად, მადრიდში მისი გადმოსვლა რომ მერჩივნა, არ ვმალავ“.

„სარბიელის“ მკითხველს კარგად ეხსომება, რომ გასული წლის აგვისტოში გაბრიელ ჰაინცე და ალექს ფერგიუსონი ერთმანეთს ცუდად დაცილდნენ. არგენტინელს „ლივერპულში“ უნდოდა გადასვლა, რაც ფერგიუსონმა არ დაუშვა. იმის შემდეგ, ჰაინცე სერ ალექსთან აღარ გაჩერდა და „რელში“ გადავიდა.

**ბაჩუნა ქედია**

# ვინც ბოლო, ის გოგო




**„არსენალის“** თავკაცმა არსენ ვენგერმა ლონდონის მეორე გუნდს, „მეთოფეთა“ ტრადიციულ მეტოქეს, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ კბილი გაკრა, ხუანდე რამოსი თანამდებობიდან არ უნდა გაეშვათო — თან კოლეგის დაცვაც გამოუვიდა, არა? ვენგერის ვარსკვლავმა, სესკ ფაბრეგასმა კი შეფის ნათქვამს ისეთი დაამატა, კაცმა შეიძლება თითებზე იკბინოს. მაგ „სფურზს“ ჩვენი, არსენალელი გოგოების გუნდიც მოუგებსო.

ამ სტრიქონების გაცნობისას მკითხველს უკვე ეცოდინება „არსენალისა“ და „ტოტენჰემის“ (ნამდვილ, კაცთა გუნდებზეა ლაპარაკი) წუხანდელი თამაშის ანგარიში. სხვა სიტყვებით, უკვე ცნობილი იქნება, როგორ ჩააბარა „სფურზის“ ახალმა თავკაცმა ჰარი რედნაპმა პირველი სერიოზული გამოცდა, თუმცა ჩვენ რამოსის თემას დავუბრუნდეთ. ვენგერმა თქვა:

„არა მგონია, რამოსი „ტოტენჰემში“ ივნისში რომ მიეყვანათ, ასევე მოიქცეოდნენ. მას არ აცადეს იმიტომ, რომ ერთი წლის აყვანილი ჰყავდათ და მოთმინება არ ეყოთ. საერთოდ, პრემიერლიგაში ხშირად ხდება ასე: გუნდი, რომელიც „კარლინგის თასს“ იგებს, მაგრამ ევროთასიდან უკვე გავარდნილია და სეზონში სტიმული აღარ აქვს, კალაპოტიდან ვარდება. ის, სრულიად შეუმჩნევლად, თანდათანობით აუარესებს შედეგებს და თუ არ გაუმართლა და შემდეგი სეზონიც ცუდად დაიწყო, კლუბში მწვრთნელისადმი ნდობას კარგავენ. ზუსტად ეს შეემთხვა რამოსს, რაც ძალიან მწყინს, იმიტომ, რომ მას, როგორც კაცს და როგორც სპეციალისტს, დიდ პატივს ვცემ. მერედა, იდეების ხალხამდე მიტანას და ხორცშესხმას დრო სჭირდება. გასაგებია, რომ „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელებს ცუდი შედეგების გამო რამე უნდა ეღონათ, მაგრამ არც იმას უნდა დიდი მტკიცება, რომ მწვრთნელს ახალი გუნდის შესაქმნელად რვაცხრა თამაშზე მეტი უნდა აცალო. ახლა, „სფურზმა“ მკვეთრად შეცვალა კურსი და სპორტული დირექტორიც გაუშვა. გაამართლებს ჰარი რედნაპი თუ არა? ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს“.

ფაბრეგასმა კი, როგორც გითხარით, „ტოტენჰემის“ ძალასა და უნარზე ფრიად ირონიული ეჭვი გამოთქვა.

„მაგათ ჩვენი გოგოები რომ შეხვდნენ, დარწმუნებული ვარ, გაამწარებენ. ყოველ შემთხვევაში, ქულას ნამდვილად წამოიღებენ“.

**ბაჩუნა ქედია**

## ტერნერი ნაკრების ღირსია

**პრემიერლიგის** აღმოჩენის „ჰალ სიტის“ ვეტერანი ფორვარდი დინ უინდასი თვლის, რომ მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი მაიკლ ტერნერი ინგლისის ნაკრებში თამაშის ღირსია.

„მოედნის გარეთ მაიკლი მშვიდი და თავმდაბალია. მასთან ერთად შეიძლება მთელი დღე გაატარო და ვერ შეამჩნიო. სამაგიეროდ, თამაშისას პირველობას ვერავინ წაართმევს. მოედანზე ტერნერი ნამდვილი მონსტრი ხდება. მისი ფიზიკური კონდიციები ეროვნული გუნდის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ინგლისის ნაკრებს ასეთი ტიპის მოთამაშეები სჭირდება, თანაც ტერნერს არც გამოცდილება აკლია — ის „ჰალთან“ ერთად პრემიერლიგაში აღზევდა“ — განაცხადა უინდასმა.

## ნაწყენი ტიმო

**ესპანური** „ვალენსიას“ მთავარი მწვრთნელი უნაი ემერი კლუბის მეკარის ტიმო ჰილდებრანდის საქციელით უკმაყოფილოა. გერმანელი გოლკიპერი ამ სეზონში „ღამურების“ რიგებში საერთოდ არ გამოჩენილა და უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ზამთარში „მესტალიას“ დატოვებას აპირებს. ამას წინათ კი ტიმომ გუნდთან ერთად ვარჯიშზე უარი თქვა. ემერი უკვე შეხვდა თავის ურჩ შეგირდს და მისი ვალდებულებების შესახებ ესაუბრა.

## რედნაპი ფოსტერს უმიზნებს

**ინგლისურ** პრესაში „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შესაძლო ტრანსფერებზე საუბრები გახურდა. ამჯერად საქმე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მესამე გოლკიპერ ბენ ფოსტერს ეხება. როგორც ინგლისში ამბობენ, „უაით ჰართ ლეინზე“ ჰარი რედნაპის მისვლის შემდეგ, ინგლისელი სპეცილაისტი „დეზების“ კარის დარაჯ ეურელიუ გომეშს ეჭვის თვალით უყურებს და მისი შემცვლელის ძიებაშია. „ტოტენჰემს“ ფოსტერის გადაბირება ჯერ კიდევ შარშან სურდა, თუმცა მაშინ ეს ტრანსფერი ვერ განხორციელდა.

## პლეტიკოსას სპარტაკიდან უშვებენ?

**ზამთარში** მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარეს სტიპე პლეტიკოსას, შესაძლოა, კლუბის გამოცვლა მოუხდეს. საქმე ის არის, რომ 2009 წლიდან რუსულ პრემიერლიგაში ლეგიონერთა ლიმიტი შემცირდება და მოედანზე ერთ გუნდში ერთდროულად არა შვიდის, არამედ ექვსი უცხოელი ფეხბურთელის თამაში იქნება შესაძლებელი. ასე რომ, ხორვატიის ნაკრების კარის დარაჯს მოსკოვური კლუბის დატოვება სწორედ ამის გამო ემუქრება.

## ტონელმა ტრავმა მიიღო

**ლისაბონის** „სპორტინგის“ მცველმა ტონელმა მუხლის ტრავმა მიიღო და თავის გუნდს „შახტართან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ვერ დაეხმარება. 28 წლის ფეხბურთელმა დაზიანება კვირას, „ფერეირასთან“ პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩში მიიღო. სამედიცინო შემოწმებამ ტონელს მარცხენა ფეხის ძვალში პატარა ბზარი აღმოუჩინა. ექიმების განცხადებით, იგი თამაშს ერთ თვეში თუ შეძლებს.

## ლიუნგბერგი გაფორმდა

**ლონდონის** „არსენალის“ ყოფილმა ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა ამერიკულ „სიეტლთან“ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა. შეგახსენებთ, რომ შვედი ფეხბურთელის ყოფილმა კლუბმა „ვესტ ჰემმა“ ფინანსური პრობლემების გამო ლიუნგბერგთან კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტა. „უკანასკნელი თვეების განმავლობაში ბევრი წინადადება მივიღე და საბოლოოდ „სიეტლში“ გადმოსვლა გადავწყვიტე. ეს არის ძალიან ამბიციურ კლუბია და მასთან ბევრ ტიტულს მოვიგებ“ — ბრძანა ფრედიმ.

ხელშეკრულების მიხედვით, ლიუნგბერგი ჯამში 20 მილიონ დოლარს მიიღებს, თუმცა კონტრაქტის ხანგრძლივობა ჯერჯერობით არ სახელდება.

## არსენალი და აკვილანი

**იტალიური** „რომას“ ნახევარმცველი ალბერტო აკვილანი ლონდონის „არსენალის“ ინტერესთა სფეროში მოხვდა. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი უკვე ერთი წელია, რაც რომაელებთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ თანხმდება. ასე რომ, თუ „ჯალოროსის“ ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში მასთან შეთანხმებას ვერ შეძლებს, დიდი შანსია, ალბერტო ზამთარში „ემირეით სთედიუმზე“ აღმოჩნდეს.

## რობერტო აკვაფრესკა ადრიანოს ნაცვლად?

**მილანის** „ინტერი“ იანვარში სარდინიული „კალიარის“ თავდამსხმელის, რობერტო აკვაფრესკას შეძენას აპირებს. აპენინური მედიის ცნობით, ეს ტრანსფერი იმ შემთხვევაში განცხორციელდება, თუ „ნერაძურის“ ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო ჟოზე მაურინიუს იმედებს ვერ გაამართლებს. ამავდროულად, „ინტერის“ არგენტინელი ფორვარდებით, ერნან კრესპოთი და ხულიო კრუსით „რომა“ დაინტერესდა. ამ ფეხბურთელებს კი „ნერაძურისთან“ მოქმედი კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე აკავშირებთ.

**არჩილ ძოგახიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 62 | ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 21:30 | 63 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.70 | 3.25 | 2.00 | 1.73 | 1.29 | 1.23 |
| 19:00 | 64 | სტოკი-არსენალი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 19:00 | 65 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 19:00 | 67 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 68 | მანჩესტერი-ჰალი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 16:45 | 69 | ევერტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 70 | პორტსმუთი-უიგანი | 1.75 | 3.30 | 4.45 | 1.14 | 1.25 | 1.89 |
| | | 2. ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 71 | ბოლტონი-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 66 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 85 | დონკასტერი-სუონსი | 2.70 | 3.10 | 2.40 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 19:00 | 86 | იფსვიჩი-ქპრ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 87 | პრესტონი-საუთჰემპტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 88 | შეფილდი-პლიმუთი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 90 | უოტფორდი-ბლეკპული | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 19:00 | 91 | ბრისტოლი-რედინგი | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 92 | ბარნლი-ნორვიჩი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 21:20 | 93 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 94 | ჩარლტონი-ბარნსლი | 1.85 | 3.40 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 95 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 17:15 | 84 | დერბი-ნოტინგემი | 1.75 | 3.30 | 4.55 | 1.14 | 1.26 | 1.91 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 89 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 107 | პიტერბრო-ჰერეფორდი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 108 | სქანთორპი-სუინდონი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:00 | 109 | საუთენდი-კოლჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 110 | სტოკპორტი-კარლაილი | 1.85 | 3.25 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 111 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.75 | 3.30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 19:00 | 112 | უოლსოლი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 113 | ჩელტენემი-ლიდსი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 19:00 | 114 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 115 | ლესტერი-როვერსი | 1.70 | 3.40 | 4.75 | 1.13 | 1.25 | 1.98 |
| 19:00 | 116 | ლეიტონი-ჰარტლპული | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 117 | დონსი-ტრანმერი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 118 | ოლდემი-იოვილი | 1.70 | 3.40 | 4.55 | 1.13 | 1.23 | 1.94 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 132 | მაკლსფილდი-ჯილინგემი | 2.60 | 3.25 | 2.40 | 1.44 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 133 | მორქემბი-ალდერშოტი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 134 | ნოტსი-ბერი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 135 | როთერჰემი-უიკომბი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 19:00 | 136 | ბორნმუთი-ჩესტერფილდი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 137 | შრიუსბერი-ლუტონი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 138 | ბრედფორდი-ბარნეტი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 19:00 | 139 | ბრენტფორდი-როჩდეილი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 140 | დაგენემი-აკრინგტონი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 19:00 | 141 | ექსეტერი-ჩესტერი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 19:00 | 142 | გრიმსბი-დარლინგტონი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 143 | ლინკოლნი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | ინგლისი, კონფერენსი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 152 | სელისბერი-ქროული | 2.65 | 3.25 | 2.35 | 1.45 | 1.24 | 1.36 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 144 | ნორთვიჩი-ისტბორნი | 2.25 | 3.25 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.51 |
| 19:00 | 145 | რექსემი-ლიუისი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 19:00 | 146 | ალტრინჰემი-პისტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 147 | კიდერმინსტერი-გრეისი | 1.55 | 3.55 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.23 |
| 19:00 | 148 | უოკინგი-სტივენეიჯი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 149 | კეტერინგი-უეიმუთი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 19:00 | 150 | ტორკი-მენსფლიდი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 151 | კემბრიჯი-რაშდენი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 153 | ბარტონი-ებსფლითი | 1.80 | 3.30 | 4.15 | 1.16 | 1.25 | 1.83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 154 | ოქსფორდი-იორკი | 2.15 | 3.25 | 3.00 | 1.29 | 1.25 | 1.55 |
| 19:00 | 155 | ბაროუ-ფორესტ გრინი | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 173 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 19:00 | 175 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 19:00 | 176 | აბერდინი-კილმარნოკი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 178 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 181 | მოზერუელი-ჰამილტონი | 1.80 | 3.40 | 4.30 | 1.17 | 1.26 | 1.89 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 179 | ჰართსი-სელტიკი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 182 | დანდი-ერდრი | 1.95 | 3.40 | 3.20 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 19:00 | 183 | დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი | 2.40 | 3.50 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| 19:00 | 184 | ლივინგსტონი-მორტონი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 185 | პარტიკი-ქუინი | 2.65 | 3.50 | 2.25 | 1.50 | 1.21 | 1.36 |
| 19:00 | 186 | როსი-კლაიდი | 1.95 | 3.50 | 3.25 | 1.25 | 1.21 | 1.68 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 187 | არბროთი-ეარი | 3.25 | 3.50 | 1.95 | 1.68 | 1.21 | 1.25 |
| 19:00 | 188 | პიტერჰედი-ბრეჩინი | 2.65 | 3.50 | 2.25 | 1.50 | 1.21 | 1.36 |
| 19:00 | 189 | ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 19:00 | 190 | რეითი-ალოა | 1.55 | 4.30 | 4.35 | 1.13 | 1.14 | 2.16 |
| 19:00 | 191 | სტირლინგი-სტრანრარი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 192 | ალბიონი-კოუდენბითი | 2.80 | 3.50 | 2.15 | 1.55 | 1.21 | 1.33 |
| 19:00 | 193 | დამბარტონი-ბერიკი | 1.55 | 4.00 | 5.30 | 1.11 | 1.19 | 2.27 |
| 19:00 | 195 | ელგინი-ფორფარი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| 19:00 | 196 | მონტროუზი-სტენჰაუზმური | 2.40 | 3.50 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 287 | კაფენბერგი-რაპიდი | 4.50 | 3.60 | 1.65 | 2.00 | 1.20 | 1.13 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 282 | ალტახი-მატერსბურგი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 283 | აუსტრია კერნტენი-რიდი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 21:00 | 284 | ლინცერი-ზალცბურგი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 18:30 | 286 | აუსტრია-შტურმი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | ავსტრია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 289 | ზალცბურგი მ-აუსტრია ლუსტენაუ | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 290 | გრატკორნი-ფიოკლაბრუკი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 292 | ლეობენი-აუსტრია(მ) | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 21:00 | 293 | ინსბრუკი-ზტ.პოლტენი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 21:00 | 294 | ადმირა-გრიოდიგი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 18:15 | 291 | ლუსტენაუ-ნოიშტადი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 300 | ბაზელი-სიონი | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 20:45 | 302 | გრასჰოპერი-ვადუცი | 1.35 | 4.40 | 7.35 | 1.03 | 1.14 | 2.75 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 303 | აარაუ-ქსამაქსი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 305 | ლუცერნი-ბელინცონა | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 306 | იანგ ბოიზი-ციურიხი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 382 | ვალენსია-რასინგი | 1.40 | 4.10 | 8.50 | 1.04 | 1.20 | 2.76 |
| 23:00 | 386 | მალაგა-ბარსელონა | 9.00 | 4.00 | 1.40 | 2.76 | 1.21 | 1.03 |
| 23:00 | 393 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.60 | 3.50 | 5.80 | 1.09 | 1.25 | 2.18 |
| 23:00 | 394 | ბილბაო-ვილიარეალი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 384 | ალმერია-რეალი | 5.70 | 3.40 | 1.65 | 2.12 | 1.27 | 1.11 |
| 19:00 | 385 | ხიხონი-ნუმანსია | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 23:55 | 388 | ბეტისი-დეპორტივო | 1.90 | 3.25 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.79 |
| 20:00 | 389 | ვალიადოლიდი-სევილია | 2.90 | 3.25 | 2.35 | 1.53 | 1.29 | 1.36 |
| 20:00 | 391 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 20:00 | 392 | უელვა-ხეტაფე | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 21:30 | 396 | უესკა-კორდობა | 2.15 | 3.00 | 3.35 | 1.25 | 1.30 | 1.58 |
| 21:30 | 402 | ხიმნასტიკი-სოსიედადი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 21:30 | 404 | კასტელონი-ლას პალმასი | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| 21:30 | 406 | ხირონა-სარაგოსა | 3.10 | 3.00 | 2.25 | 1.52 | 1.30 | 1.28 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 15:00 | 397 | სერესი-მურსია | 1.80 | 3.10 | 4.30 | 1.13 | 1.26 | 1.80 |
| 21:00 | 398 | ტენერიფე-ვალეკანო | 2.15 | 2.95 | 3.30 | 1.24 | 1.30 | 1.55 |
| 20:00 | 399 | ხევილია ბ-ერკულესი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 20:00 | 400 | ეიბარი-ლევანტე | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 20:00 | 401 | ალავესი-ელჩე | 1.70 | 3.25 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.92 |
| 20:00 | 403 | ალიკანტე-ალბასეტე | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 21:00 | 405 | სელტა-სალამანკა | 2.75 | 2.90 | 2.50 | 1.41 | 1.30 | 1.34 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 472 | ამიენი-ტრუა | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 23:00 | 473 | ბასტია-სედანი | 2.05 | 2.95 | 3.75 | 1.20 | 1.32 | 1.65 |
| 23:30 | 474 | ბულონი-კლერმონი | 1.70 | 3.20 | 4.85 | 1.11 | 1.25 | 1.92 |
| 23:00 | 475 | დიჟონი-ბრესტი | 2.15 | 2.90 | 3.45 | 1.23 | 1.32 | 1.57 |
| 23:30 | 476 | მეცი-ვანი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 23:30 | 477 | მონპელიე-ნიმი | 1.55 | 3.30 | 6.30 | 1.05 | 1.24 | 2.16 |
| 23:00 | 478 | რეიმსი-შატორუ | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 23:00 | 480 | ტუარი-აიაჩო | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| 23:00 | 481 | გენგამი-ანჟე | 2.10 | 2.90 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 479 | სტრასბური-ლანსი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 484 | სტანდარდი-შარლერუა | 1.27 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.13 |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 487 | ლოკერენი-მონსი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:00 | 488 | დენდერი-ვესტერლო | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:00 | 489 | მეხელენი-რუზელარე | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 23:00 | 490 | მუსკრონი-სერკლი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:00 | 492 | ტუბიცე-გენკი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 23:00 | 495 | ბრიუგე-კორტრაიკი | 1.28 | 4.90 | 9.50 | 1.01 | 1.12 | 3.23 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 486 | ვარეგემი-გენტი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 23:30 | 493 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 516 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 528 | ომნივორლდი-ვენლო | 5.50 | 3.90 | 1.50 | 2.28 | 1.17 | 1.08 |
| 23:00 | 529 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 23:00 | 530 | იგლზი-დორდრეხტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:00 | 531 | კამბური-ოსი | 1.65 | 3.60 | 4.55 | 1.13 | 1.21 | 2.00 |
| 23:00 | 532 | ჰაარლემი-ზვოლე | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 23:00 | 533 | ვალვაიკი-ემენი | 1.40 | 4.10 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| 23:00 | 534 | ვეენდამი-ეინდჰოვენი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:00 | 535 | აპელდორნი-მაასტრიხტი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| 23:00 | 536 | სიტარდი-ტელსტარი | 2.25 | 3.25 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.51 |
| 23:00 | 537 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1.85 | 3.40 | 3.65 | 1.19 | 1.22 | 1.76 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 00:30 | 542 | სეტუბალი-ტროფენსე | 1.65 | 3.50 | 5.25 | 1:12 | 1.25 | 2.09 |
| 22:45 | 546 | ნავალი-პორტუ | 5.50 | 3.30 | 1.65 | 2.06 | 1.26 | 1.10 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 538 | ლეიშოეში-ფერეირა | 1.85 | 3.25 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.86 |
| 23:45 | 540 | გიმარაეში-ბენფიკა | 3.40 | 3.20 | 2.10 | 1.64 | 1.29 | 1.26 |
| 20:00 | 541 | ამადორა-ბელენენსეში | 2.20 | 3.00 | 3.35 | 1.26 | 1.32 | 1.58 |
| 20:00 | 545 | აკადემიკა-ბრაგა | 2.85 | 3.00 | 2.50 | 1.46 | 1.33 | 1.36 |
| 01:00 | 548 | რიუ ავე-სპორტინგი | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 543 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| | | საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 560 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 3.35 | 3.00 | 2.10 | 1.58 | 1.29 | 1.23 |
| 21:00 | 565 | არისი-ლარისა | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 18:45 | 567 | ლევადიაკოსი-პანსერაიკოსი | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 558 | ოფი-ქსანთი | 2.35 | 3.00 | 2.95 | 1.31 | 1.30 | 1.48 |
| 17:45 | 561 | აეკ-ასტერასი | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |
| 21:00 | 562 | ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 17:00 | 564 | პანთრაკიკოსი-თრასივულოსი | 1.95 | 3.10 | 3.65 | 1.19 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 568 | ირაკლისი-პაოკ | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 593 | პიასტი-პოლონია ბ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:00 | 594 | ლეხი-ოდრა | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| 23:00 | 597 | ლოძი-შლიონსკი | 2.80 | 3.10 | 2.45 | 1.47 | 1.30 | 1.36 |
| 20:30 | 598 | არკა-პოლონია ვ | 3.20 | 3.10 | 2.25 | 1.57 | 1.32 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 602 | პლზენი-იაბლონეცი | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 601 | პრჟიბრამი-კლადნო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:00 | 604 | ბოჰემიანსი -ზლინი | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 605 | ბუდეიოვიცე-ჟიჟკოვი | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 18:00 | 606 | სლავია-ბრნო | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 18:00 | 607 | ტეპლიცე-სიგმა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:00 | 608 | ლიბერეცი-ბოლესლავი | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 20:15 | 603 | ბანიკი-სპარტა | 2.55 | 2.95 | 2.70 | 1.36 | 1.31 | 1.40 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 16:30 | 617 | დ.სტრედა-სლოვანი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 20:00 | 618 | ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 23:15 | 619 | არტმედია-ნიტრა | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:30 | 620 | დუბნიცა-კოშიცე | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |
| 20:00 | 621 | ზლატე მორავცე-ტრნავა | 3.20 | 3.10 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 18:30 | 622 | პრეშოვი-ჟილინა | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 755 | ბილბაო-უელვა | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1071 | კალამარია-ასტერასი | 3.45 | 3.15 | 1.95 | 1.64 | 1.24 | 1.20 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1069 | ანკარა-გალათასარაი | 3.60 | 3.25 | 1.85 | 1.70 | 1.22 | 1.17 |
| 22:00 | 1070 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჩე | 4.60 | 3.45 | 1.60 | 1.97 | 1.18 | 1.09 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:15 | 773 | ნესტვედი-კოპენჰაგენი | 14.00 | 5.70 | 1.20 | 4.05 | 1.10 | 1.00 |
| 23:15 | 774 | ჰოლსტებრო-ბრიონდბიუ | 25.00 | 10.00 | 1.05 | 7.14 | 1.00 | 1.00 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 854 | სიოდერტელიე-ლინჩიოპინგი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 22:00 | 855 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1.80 | 4.20 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| 22:00 | 856 | ფრიოლუნდა-ლულეო | 1.70 | 4.20 | 3.20 | 1.21 | 1.11 | 1.81 |
| 22:00 | 857 | აიკ-ჰვ 71 | 2.15 | 4.10 | 2.30 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 22:00 | 858 | ტიმრე-მოდო | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 22:00 | 859 | ბრიუნესი-როგლე | 1.55 | 4.20 | 3.75 | 1.13 | 1.09 | 1.98 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 876 | კერპეტი-ტურკუ | 1.45 | 4.50 | 4.60 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| 20:30 | 877 | ლუკო-ტაპარა | 1.85 | 4.10 | 3.00 | 1.27 | 1.14 | 1.73 |
| 20:30 | 878 | პელიკანსი-სეიპა | 1.70 | 4.30 | 3.40 | 1.21 | 1.13 | 1.89 |
| 20:30 | 879 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 20:30 | 880 | ჰაამეენლინა-იუვესკიულე | 2.05 | 4.10 | 2.55 | 1.36 | 1.13 | 1.57 |
| 20:30 | 881 | კუოპიო-ესეტი | 1.90 | 4.20 | 2.90 | 1.30 | 1.14 | 1.71 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 882 | ილვესი-ესპოო | 2.40 | 4.10 | 2.15 | 1.51 | 1.13 | 1.41 |
| 20:30 | 883 | იუვესკიულე-პელიკანსი | 1.50 | 4.20 | 4.50 | 1.10 | 1.12 | 2.17 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 892 | ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 1.80 | 4.00 | 2.40 | 1.24 | 1.02 | 1.50 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 891 | ბოლესლავი-ტრჟინეცი | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 20:30 | 893 | პლზენი-ლიტვინოვი | 1.60 | 4.40 | 3.50 | 1.17 | 1.09 | 1.94 |
| 20:00 | 894 | ზლინი-სლავია | 2.30 | 4.20 | 2.20 | 1.48 | 1.12 | 1.44 |
| 20:00 | 895 | ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 1.80 | 4.10 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.73 |
| 21:00 | 896 | კარლოვი ვარი-ზნოიმო | 1.55 | 4.40 | 4.00 | 1.14 | 1.11 | 2.09 |
| 20:30 | 897 | კლადნო-სპარტა | 2.60 | 4.10 | 1.95 | 1.59 | 1.11 | 1.32 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 918 | დიუსელდორფი-აუგსბურგი | 1.50 | 4.50 | 4.30 | 1.12 | 1.11 | 2.19 |
| 22:30 | 920 | ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| | | 31 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 919 | ფრანკფურტი-ჰამბურგი | 1.80 | 4.50 | 2.80 | 1.28 | 1.09 | 1.72 |
| 22:30 | 921 | იზერლონი-აისბარენი | 2.30 | 4.10 | 2.30 | 1.47 | 1.14 | 1.47 |
| 22:30 | 922 | კიოლნი-სტრაუბინგი | 1.40 | 4.50 | 5.20 | 1.06 | 1.10 | 2.41 |
| 22:30 | 923 | კრეფელდი-კასელი | 1.40 | 4.50 | 5.20 | 1.06 | 1.10 | 2.41 |
| 22:30 | 924 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 22:30 | 925 | ინგოლშტადი-დუისბურგი | 1.50 | 4.30 | 4.15 | 1.11 | 1.10 | 2.11 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 1028 | მაკაბი-აველინო | 1.10 | 12.00 | 5.90 | 1.00 | 1.00 | 3.95 |
| 23:30 | 1030 | ლე მანი-ციბონა | 1.50 | 12.00 | 2.60 | 1.33 | 1.00 | 2.13 |
| 22:45 | 1031 | ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 1.30 | 12.00 | 3.50 | 1.17 | 1.00 | 2.70 |
| 21:45 | 1033 | ჟალგირისი-სიენა | 3.60 | 12.00 | 1.25 | 2.76 | 1.00 | 1.13 |
| 23:30 | 1034 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.60 | 12.00 | 2.30 | 1.41 | 1.00 | 1.93 |
| 23:30 | 1035 | ლუბლიანა-ტაუ | 2.60 | 12.00 | 1.50 | 2.13 | 1.00 | 1.33 |
| 22:15 | 1037 | ფენერბახჩე-ალბა ბერლინი | 1.30 | 12.00 | 3.60 | 1.17 | 1.00 | 2.76 |

# ხელბურთმა ხელი გაიშვირა დაეხმარეთ 1000 ლარით


ბადრი კიკილაძის ფოტო

**ხელბურთის** ფედერაციაში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ გუნდებს გუშინ განაცხადის შეტანის ბოლო დღე ჰქონდათ.

ყველაზე ბუნდოვანი სიტუაცია სტუ-ს ჰქონდა და, სამწუხაროდ, დღემდე გარკვეული არც არაფერია. საქართველოს 18-გზის ჩემპიონი ჯერაც ცაშია გამოკიდებული და ითამაშებს თუ არა ჩემპიონატში, კაცმა არ იცის.

სტუ-ს ამბავს ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით, მანამდე კი სხვა გუნდებზე ვთქვათ.

„თბილისმა", „მამულმა" და „ქუთაისმა" განაცხადები უკვე შეიტანეს და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობასაც აპირებენ, თუმცა აქ ერთი პრობლემაა. არც ერთ გუნდს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ჯერ არ შეუტანია და ოდენ საგარანტიო ფურცლით დაკმაყოფილდა. ეს თანხა კი ათას ლარს შეადგენს...

იგივე მდგომარეობაში არიან ახალბედა გუნდები. ჭაბუკთა ლიგიდან ეროვნულ ჩემპიონატს „რუსთავი" და „სამტრედია" დაემატნენ. „სამტრედია" „ფოთის" ჭაბუკთა გუნდის ხელბურთელებითაც გაძლიერდება. „რუსთავი" კი — „გორის" და „ყვარელის" მოთამაშეებით.

მოკლედ, საქმე ასეა: დებულების მიხედვით, ფედერაციაში განაცხადების შეტანის ვადა გუშინ ამოიწურა, თუმცა ფედერაცია გუნდებს მაინც აძლევს საშუალებას, რომ ფორმალობები მოაგვარონ და ჩემპიონატში ითამაშონ...

რაც შეეხება სტუ-ს, როგორც ვთქვით, ამ გუნდის ამბავი ჯერაც გაურკვეველია. დაზუსტებით პასუხი არც ფედერაციაში იციან და ვერც გუნდის პრეზიდენტმა ზურაბ კეკელიძემ გვითხრა: ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონატში არ გამოვალთ. ალბათ, ორ დღეში გაირკვევა ყველაფერი და ვნახოთ. თუ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება, იმედია, ფედერაცია მოგვცემს საშუალებას, დაგვიანებით შევიტანოთ განაცხადი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 3 ნოემბერს დასაწყებ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა ჯერაც არ დაზუსტებულა.

და ერთიც: გუშინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველი თამაში უნდა ჩაეტარებინა თბილისში შვედეთის ნაკრებთან, მაგრამ...

**ლექსო მაისურაძე**

# ჩემპიონები ბავშვებს უშენებენ

**სოფელ** წილკანში სამაჩაბლოდან ლტოლვილებისთვის განკუთვნილ სამშენებლო კომპლექსში საბავშვო ბაღი შენდება, რომელიც 400-მდე ბავშვზეა გათვლილი. ამ მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება საკუთარ თავზე პეკინის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა აიღეს.

რევაზ მინდორაშვილს, მანუჩარ კვირკველიასა და ირაკლი ცირეკიძეს პრეზიდენტისგან შეპირებული პრემიები უკვე გადაეცათ. მათაც ინიციატივა გამოიჩინეს და ქველმოქმედებით მხარში ამოუდგნენ ახალ მშენებლობას.

გუშინ ოლიმპიურმა ჩემპიონებმა წილკანის სამშენებლო კომპლექსი მოინახულეს და ნიჩბებიც აიღეს ხელში. ირაკლი ცირეკიძემ კი საძირკველში ტრადიციული კაფსულაც ჩადო...

**ზურაბ მიგრიაული**




ბადრი კიკილაძის ფოტოები





შოთა ხაბარელი, დავით ბერძენიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი

მიხეილ ჯანიშვილის ფოტო

# აი, ასეთია ვარლამი

## ლიპარტელიანის ახალგაზრდობა დასრულდა

**საქართველოს** კაცთა და ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა გასულ უქმეებზე ტაილანდში გამართული ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიარეს, საიდანაც ვარლამ ლიპარტელიანი ჩემპიონად დაგვიბრუნდა.

ქართველი გოგონების ანგარიშზე კი ორი მეხუთე ადგილია, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო.

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ძიუდოს ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა დავით ბერძენიშვილმა, ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია თენაძემ, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა, ვარლამ ლიპარტელიანმა და ქალთა ნაკრების წევრებმა — თინათინ ქულუსაშვილმა და ნინო ოძელაშვილმა ისაუბრეს.

*დავით ბერძენიშვილი:* სასიხარულოა, რომ ქართული ძუდოს წარმატებებზე სისტემატიურად გვიწევს ლაპარაკი. ამჯერად მინდა, ვარლამ ლიპარტელიანს მივულოცო უდიდესი წარმატება. ის ზედიზედ ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში და ახლა მსოფლიოს ჩემპიონობაც მიაყოლა. მინდა, ვარლამს ვუთხრა, რომ ეს მხოლოდ მწვერვალისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯებია. მას მძიმე შრომა ელის წინ და დარწმუნებული ვარ, არ შეშინდება. გია თენაძეს კი გოგონათა წარმატებას ვულოცავ. ადრე ქალები შეჯიბრებებს სკეპტიკურად ვუყურებდით. ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ეს უკვე მეორე დიდი ტურნირია, რომელზეც ჩვენი გოგონები საკმაოდ ძლიერად გამოვიდნენ და რომ არა უიღბლობა, მედლებსაც შესწვდებოდნენ. მომავალში მათი წარმატებების გვჯერა. ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს ქალთა ძიუდოს განვითარებისთვის. კონკრეტული ნაბიჯიც გადავდგით. სულ მალე ჩვენი გოგონები სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დარბაზში ივარჯიშებენ.

*გია თენაძე:* გოგონების გამოსვლაზე ვიტყვი, რომ მიზანდასახულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. რა თქმა უნდა, შეცდომები გვაქვს, მაგრამ ამაზე ვმუშაობთ, ვაანალიზებთ და გპირდებით, რომ გამოვასწორებთ. ვფიქრობ, ჩვენი ქალთა ძიუდო მომდევნო ოთხ წელიწადში ისე განვითარდება, რომ რამდენიმე ფალავანს ლონდონის ოლიმპიადაზეც ვიხილავთ.

*შოთა ხაბარელი:* საქართველოს ბევრი ფენომენალური მოჭიდავე ჰყოლია, მაგრამ მათ ამ ასაკში ლიპარტელიანის მსგავსი შედეგები არ ჰქონდათ. სულ ვფიქრობდი, რომ ვალერიზე ამდენ წარმატებას, შეიძლება, ცუდად ემოქმედა, თავბრუ დახვეოდა, მაგრამ ის ყოველი გამარჯვების შემდეგ უფრო თავმდაბალი, შრომისმოყვარე, დაფიქრებული და მონდომებული ხდება. ვალერისთვის ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლო ტურნირი იყო ახალგაზრდებში, ანუ ის ეროვნულ ნაკრებში გადმოდის და მისი ძალიან მეიმედება. მან იაპონიაში ჩატარებულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც სრულად გაგვიმართლა, არაერთი სპეციალისტი აღაფრთოვანა, ლეგენდარულმა იამასიმამაც მითხრა, დიდი მოჭიდავე გეზრდებათო.

მინდა, ყურადღება გავამახვილო ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ ბორია ფირცხელიანის მუშაობაზე — წარმატებას წარმატებაზე აღწევს. მას ყველანაირად დავუდგებით მხარში.

*ვარლამ ლიპარტელიანი:* მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მწვრთნელებს, ექიმებსდა ყველას, ვინც ჩემს მომზადებაში წვლილი დაიდო. გოგონებზე მინდა ვთქვა, რომ მათ ნამდვილად იომეს და რომ არა მსაჯის უსამართლობა, თინათინ ქულუსაშვილი მედალსაც მოიგებდა.

ჟურნალისტებმა პოლონეთში სკანდალში გახვეული სამი ქართველი ძიუდოისტის ამბავიც ვკითხეთ. ამ კითხვას ისევ დავით ბერძენიშვილმა უპასუხა...

— ჯერჯერობით გამოძიება მიმდინარეობს და ახალს ვერაფერს მოგახსენებთ. დიდი შანსია, რომ ჩვენები სასამართლომ გაამართლოს, მაგრამ ხომ იცით, სახელის გატეხვას, თავის გატეხვა ჯობიაო...

**ზურაბ მიგრიაული**

# ქართული კვანტი სკანდინავიაში

**ძიუდოს** კლუბი „კვანტი" შვედეთის და ფინეთის ღია პირველობებზე ორი მოჭიდავით წარსდგება. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით შათირიშვილი გამოვა, ხოლო 90 კგ-ში — ზვიად გოგოჭური. ორივე ტურნირზე ქართველ ფალავნებს ტარიელ შათირაშვილი დაიმოძღვრავს. შვედური ტურნირი 1-2 ნოემბერს გაიმართება, ხოლო ფინური 8-9 ნოემბერს.

**ზურაბ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერაბ დოლიძეშაშვილის ფოტო

**რამდენიმე კვირის წინ 19 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა სოფო შაფათავამ, ტაშკენტში გამართული WTA-ს სერიის ტურნირში ითამაშა. ახალგაზრდა ქართველი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე პირველად მოხვდა მსგავსი დონის შეჯიბრების ძირითად ბადეში. ტაშკენტში შაფათავამ პირველ წრეში იმარჯვა კიდეც და მხოლოდ მეორე წრიდან გამოვარდა. ასეთი წარმატებული თამაშის შემდეგ სოფო შაფათავა უკვე რამდენიმე კვირაა არც ერთ ტურნირზე აღარ გამოჩენილა. როდესაც შაფათავას შევეხმიანეთ, აღმოჩნდა, რომ თბილისში ყოფილა და ინტერვიუზე შევუთანხმდით, რომელიც დილომში იან ჰომერის კორტებზე შედგა...**

# ვსპონსორობთ მხოლოდ მილიონერებს!

## დილემა: ვისაც ფული აქვს, მიზანი არ აქვს, ვისაც მიზანი აქვს, ფული არ აქვს

— ტაშკენტის WTA-ს ტურნირის შემდეგ არსად გამოჩენილხარ...

— იმ შეჯიბრების მერე ვიგრძენი, რომ საოცრად გადავიღალე, ამასთან ხელიც მტკიოდა და გადავწყვიტე, თბილისში ჩამოვსულიყავი. აუცილებელი იყო მცირე პაუზა და მეც ავიღე.

— ამ სეზონის დასრულებამდე თუ აპირებ სადმე თამაშს?

— უკვე წლის ბოლოა, არც ისე ბევრი შეჯიბრებაა დარჩენილი, ამიტომ გადავწყვიტე, რომ სამ ტურნირზე ვითამაშო.

— რომელ ტურნირზე ითამაშებ?

— ამ კვირის ბოლოს მივემგზავრები პოლონეთში, სადაც მონაწილეობას მივიღებ 100 000-დოლარიან ტურნირში, იქ ალბათ საკვალიფიკაციო ეტაპიდან მომიწევს თამაში, თუმცა ეს საკითხი ჯერ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი. წლის ბოლომდე კიდევ ვითამაშებ მინსკში 50 000-დოლარიან ტურნირზე და ასევე ყაზახეთში — 25 000-დოლარიან შეჯიბრებაზე. სწორედ ამით დავასრულებ წლევანდელ სეზონს.

— მომავალი წლისთვის რა გეგმა გაქვს?

— პირველ რიგში, მინდა, ამ სამი ტურნირით მოვახერხო მსოფლიოს საუკეთესო 240 ჩოგანს შორის შესვლა, რაც საშუალებას მომცემს, 2009 წლის ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშო.

ისე კი, ამ სამი ტურნირით არც ორასეულში შესვლა იქნება წარმოუდგენელი. თუ რეიტინგი არ მეყო, მომავალი წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობამდე, რამდენიმე ტურნირში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. თუმცა ახლა ისეთ ტურნირებზე გამოვდივარ, რომ რეიტინგში ნებისმიერი შედეგი წინ წამწევს, რადგან ქულები არ მაქვს დასაცავი.

— რამდენად კარგ ფორმაში ხარ, ტრავმა ახსენე, ისევ გაწუხებს?

— ამ მხრივ ახლა არ მაქვს პრობლემა, ხელის ტრავმა მოვირჩინე, ახლა სიცხე მაქვს, თუმც იმედია, პარასკევამდე გამოვჯანმრთელდები.

— ახლა ცოტა შენს საჩოგბურთო კარიერასაც შევეხოთ, როდის და სად დაიწყე თამაში?

— ათი წლის ვიყავი, როდესაც კლუბ „შევარდენში“ მივედი. შემდეგ „დინამოს“ კორტებზე გადავედი, საიდანაც ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიაში გადავინაცვლე, ბოლოს აქ, „იან ჰომერის“ კორტებზე მოვედი.

— ვინ გავარჯიშებს, ბავშვობიდან ერთი მწვრთნელი გყავს?

— უკვე ექვსი წელია, რაც მარინა მალაციძესა და მაია სხიერელთან ვვარჯიშობ. მანამდე სხვა მწვრთნელები მყავდა.

— რამდენად გაკმაყოფილებს ის პირობები, რომლებიც „იან ჰომერის“ კორტებზეა?

— აქ ყველანაირი პირობები მაქვს სავარჯიშოდ. ევროპული ტიპის კორტებია, როდესაც ტურნირებზე არ ვთამაშობ, თბილისში ვბრუნდები და ყოველთვის „ჰომერის“ კორტებზე ვვარჯიშობ.

— ის თაობა, რომელსაც შენ წარმოადგენ, ქართულ ჩოგბურთში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თაობა იყო, მაგრამ ვერც ერთმა მიაღწია ჯერ იმ დონეს, რომელსაც თქვენგან ელოდნენ. რა არის ამის მიზეზი?

— ჩვენს თაობაში მართლა ბევრი კარგი ჩოგბურთელი გამოჩნდა, მაგრამ შემდეგ ბევრმა თავი დაანება, რადგან უფულობის გამო, ძირითადად, თბილისში არიან და ვერ ახერხებენ უცხოეთში, ტურნირებზე თამაშს. ამას ერთი ძალიან მარტივი მიზეზი აქვს, საქართველოში 16-წლამდელთა ტურნირები იმართება, ამის მერე კი ბავშვებს საშუალება აღარ აქვთ და ვეღარ ახერხებენ განვითარებას.

— დაახლოებით რა თანხაა საჭირო ერთ წელიწადში, რომ ჩოგბურთელმა ნორმალურად მოახერხოს საერთაშორისო ასპარეზზე თამაში?

— სულ ცოტა, 18-20 ათასი დოლარი მაინცაა საჭირო, რომ ჩოგბურთელმა ასე თუ ისე მოახერხოს უცხოეთში, ტურნირებზე გამოსვლა. თანაც მწვრთნელის გარეშე და შეჯიბრებებზე ცოტა საპრიზოც უნდა გამოიმუშავო, რომ მგზავრობის, ან უარეს შემთხვევაში, ცხოვრების ხარჯები მაინც აინაზღაურო. აი, ასეთი საპრიზოების გარეშეა საჭირო კიდევ 18 ათასი დოლარი.

— ერთ სეზონში, დაახლოებით რამდენ ტურნირზე უნდა ითამაშოს ჩოგბურთელმა, რომ სტაბილურობას და რეიტინგში წინსვლას მიაღწიოს?

— ასე, 18-20 საერთაშორისო ტურნირი მაინც არის საჭირო სტაბილური შედეგისთვის.

— პირადად რამდენ ტურნირში მიიღე წელს მონაწილეობა?

— ჯერჯერობით 17 ტურნირი ვითამაშე. წლის ბოლოს კი 20 შეჯიბრება მომიგროვდება.

— ბევრ ქართველ ჩოგბურთელს არ ჰყავს სპონსორი, საინტერესოა, შენ რა მდგომარეობა გაქვს ამ მხრივ?

— არც მე მყავს სპონსორი. საერთოდ, საქართველოში ძალიან უცნაური მიდგომა აქვთ ამ საკითხისადმი ბიზნესმენებს. გეუბნებიან, შედი მსოფლიოს ოცეულში და დაგასპონსორებო. ჩოგბურთელს დახმარება მანამდე სჭირდება, თორემ, თუ ოცეულში შევიდა, შემდეგ ეს ბიზნესმენები აღარაფერში აღარ დასჭირდება. იმდენი ფული ექნება საპრიზოებით და უცხოელი სპონსორების მეშვეობით, რომ თავის თავს თვითონ შეინახავს.

— არასოდეს გითამაშია ფედერაციის თასზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, რა არის ამის მიზეზი?

— სამწუხაროდ, ჯერ არავის გამოვუძახებივარ ნაკრებში, არადა, მართლა ძალიან მინდა, რომ ნაკრებში ვითამაშო, მაგრამ ამის საშუალება ჯერ არ მომცემია. იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან დამიძახებენ. ეს ჩემთვის მტკივნეული საკითხია და არ მიყვარს ხოლმე ამაზე საუბარი.

— როგორ ფიქრობ, რამდენად ნიჭიერი თაობა მოდის ქართულ ჩოგბურთში?

— როდესაც თბილისში ვარ, სულ ვესწრები ხოლმე უმცროსი ჩოგბურთელების ტურნირებს. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ნიჭიერი ბავშვები, უფრო ზუსტად, მონდომებული ბავშვები ნაკლებად ჩანან.

— და, რა არის ამის მიზეზი?

— ჩოგბურთი ძალიან გაძვირდა, მშობლებს არ აქვთ საშუალება, შვილები სპორტის ამ სახეობაზე ატარონ, ამიტომ, ძირითადად, ისეთი ოჯახების შვილები დადიან, რომლებიც უზრუნველყოფილები არიან. ასეთ დროს ბავშვს არ აქვს მიზანი, საკუთარი კარიერით შეიქმნას უზრუნველი ცხოვრება, სპორტზე კი გართობის მიზნით დადიან, იმისთვის, რომ, უბრალოდ, ვილაცასთან თქვან ჩოგბურთელი ვარო.

ამ დროს არიან ნიჭიერი ბავშვებიც, მაგრამ მათ ოჯახებს არ აქვთ საშუალება, შვილი ატარონ ასეთ ძვირადღირებულ სახეობაზე.

საერთოდ, სპორტის არც ერთი სახეობა არ უნდა იქცეს ელიტარული ფენის სახეობად, მით უმეტეს, ჩოგბურთი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ამ ფენის წარმომადგენლებისგან დიდი სპორტსმენები არ გამოდიან. სპორტში წარმატებებს, როგორც წესი, დაბალი და საშუალო ფენის წარმომადგენლები აღწევენ.

**გიორგი არაგული**

## მაკა ჩახნაშვილის ნანტი დაემთავრდა

**ქართველი** ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი საფრანგეთის ქალაქ ნანტში მიმდინარე ტურნირს დაემშვიდობა.

მაკამ თავიდან ერთეულთა შეჯიბრში მოსინჯა ძალები და საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას ცდილობდა. ძირითად ბადეში გასასვლელად მაკამ პირველ წრეში კი მოიგო, მაგრამ მერე ვერაფერი მოახერხა. ხორვატ დარია იურაკთან 3:6 6:2 2:6 წააგო და ნუგეშად წყვილთა შეჯიბრილა დარჩა, სადაც ფრანგ ჰაკთან იყო შეამხანაგებული.

თუმცა ქართულ-ფრანგული წყვილი, მასპინძლების, ბენამარისა და ფეურსტეინის ტანდემთან 2:6 5:7 დამარცხდა, რითაც მაკა ჩახნაშვილმა ნანტური ჩოგნაობა დაასრულა კიდეც.

**ნიკა კოპაძე**

ჭიდაობა



## რამაზ ნოზაძეს კიდევ გაჭრიან

**ერთ** კვირაში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რამაზ ნოზაძე კიევში გაემგზავრება და ტრავმირებული მხრის ოპერაციას გაიკეთებს. დაახლოებით ერთი თვის წინ რამაზი უკვე იყო კიევში, თანანაკრებელ ბადრი ხასაიასთან ერთად.

მაშინ ქართველმა ფალავნებმა ოპერაცია გაიკეთეს, თუმც ექიმებმა ნოზაძეს უთხრეს, რომ ქირურგიული ჩარევა მეორე მხარზეც სჭირდებოდა და ეს მას შემდეგ, რაც ნაოპერაციევი მხარი მოუშუშდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ნოზაძეს დიდი ხანია, რაც ტრავმები აწუხებს. ბოლოს ევროპის ჩემპიონატზე გაუმიზეზდა, რასაც ლამის ორთვიანი უქმობა მოჰყვა.

ის იყო, ტრავმა ნელ-ნელა უშუშდებოდა, რომ რამაზმა მინსკში, პეკინის ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ, კიდევ ერთხელ იტკინა მხარი, რაც ოლიმპიადაზე მის ჭიდაობასაც დაეტყო...

**ლევან მაისურაძე**



# ლერი ხაბელოვმა თავი მოიხსნა

## ვიცემ პრეზიდენტობა აღარ ისურვა

ხვალ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და დელეგატები ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. პრეზიდენტობის მსურველი ხუთი კანდიდატი იყო: გია ნაცვლიშვილი, ლევან ახვლედიანი, კახა ბასილია, ბეჟან ხურციძე და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.

ხაბელოვმა გუშინ სეოკ-ში განცხადება შეიტანა, რომლის საფუძველზე არჩევნებში მონაწილეობას აღარ აპირებს. ხაბელოვი არჩევნებიდან თავის კანდიდატურის მოხსნის მიზეზად იმას ასახელებს, რომ, შეძილება, დელეგატების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმის მიცემისას თავისუფალი არ იყოს. ხაბელოვი ამ დასკვნას წინასაარჩევნო პერიოდის ანალიზიდან აკეთებს.

შეგახსენებთ, რომ 27 ოქტომბერს ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ აღმასკომის წინა სასესიო სხდომას ლერი ხაბელოვი არ დასწრებია და ამის მიზეზად ის დასახელდა, რომ ხაბელოვს მეორე მხარესთან, ანუ იმ ადამიანებთან, ვისაც არჩევნების გადადება არ სურდათ, დაპირისპირება არ უნდოდა. გუშინ ლერი ხაბელოვს რომ შევეხმიანეთ, ეს თემაც შევახსენეთ...

— ძირითადი მიზეზი, რომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებში კენჭს აღარ ვიყრი, არის ის, რომ დელეგატების უმრავლესობა არჩევანის გაკეთების დროს თავისუფალი არ იქნება. ამას არჩევნების წინა პერიოდის ანალიზი მაფიქრებინებს. ასე რომ, გადავწყვიტე, ჩემი კანდიდატურა მომეხსნა.

— 27 ოქტომბერს გამართულ აღმასკომის წინა სასესიო სხდომაზე რატომ არ გამოცხადდით?

— არ მინდოდა დაპირისპირება იმ ადამიანებთან, რომლებიც არჩევნების გადადებას არ ემხრობოდნენ...

— სხდომაზე ერთ-ერთმა კანდიდატმა ბეჟან ხურციძემ თქვა, რომ კანდიდატები არათანაბარ პირობებში არიან. თქვენ რას იტყვით ამაზე?

— მეც ვფიქრობ, რომ ყველა კანდიდატი არ იყო ერთნაირ პირობებში და ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, კანდიდატურა რომ მოვხსენი.

— 31 ოქტომბრის არჩევნებზე თუ მიხვალთ?

— არა. არჩევნებზე მისვლას არ ვაპირებ...

**ლექსო მაისურაძე**

სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიის მონაწილეთა საყურადღებოდ
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია
გაიხსნება 2008 წლის 31 ოქტომბერს 12:00 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“
(თავისუფლების მოედანი №4) საპრესკონფერენციო დარბაზში.
რეგისტრაცია 11:00 საათიდან.
სეოკ-ის აღმასკომი



# კასპიის სანაპიროდან წამოღებული სპილენძი

**გუშინ** ჩვენი ცხენოსნები დაბრუნდნენ ბაქოდან. ცხენებიც თავლაში არიან. ისინი ორშაბათს ღამით უნდა მობრუნებულიყვნენ, მაგრამ საზღვარზე შეფერხდნენ და მხედრებმა თვითვე უპატრონეს „კავკასიის თასის“ ტურნირზე ნაჯაფარ ბედაურებს.

ამ ასპარეზობის პირველი ორი დღის შედეგები ჩვენმა გაზეთმა ორშაბათს აცნობა მკითხველს. როგორც ვიუწყებოდით, ბოლო, კვირადღის ასპარეზობა „6 დაბრკოლების“ კონკური უნდა ყოფილიყო. ავდრების გამო თასის გათამაშება მასპინძლებმა წინ დღეს გადაიტანეს. საკონკურო მოედანი მართლაც ძალზე ატალახებული ყოფილა მესამე დღეს და მით უფრო სასიხარულოა, რომ ბოლო ასპარეზობა ჩვენმა სპორტსმენმა მოიგო.

ეს მხედარი ვანო ნორაკიძეა. ოთხჰიტიანი „6 დაბრკოლების“ კონკურის საწყისი სიმაღლე 130 სმ იყო, ბოლო ჰიტში — 160 სმ. ყოველ ცდაზე დაბრკოლებათა სიმაღლის მომატების შემდეგ 13 მონაწილიდან ამ ზღვარს ვანო ნორაკიძე („დარი“) და აზერბაიჯანელები მუსაევი („გრომი“) და აბდულაევი („აგრი“) შერჩნენ; და ვანომ გაწბილებული დატოვა საცხენოსნო კლუბის „გიუნაის“ რჩეული მხედრები და ბედაურები (ს. მუსაევი, რომელმაც შარშანწინ თბილისში „კავკასიის თასი“ მოიგო, გერმანიაშია გაგზავნილი საწვრთნელად და მხოლოდ ასპარეზობებზე ჩამოდის სამშობლოში).

ჩვენ ვესაუბრეთ გამარჯვებულს. „სარბიელის“ მკითხველი ზოგადად იცნობს ამ ახალგაზრდა მხედარს და ამჯერად მხოლოდ განვლილი ასპარეზობის დეტალებით შემოვიფარგლებით. *ვანო ნორაკიძეს* საკუთრივ თასის კონკურის ბრძოლები უფრო ჩარჩენია გულში...

— მუსაევი ამჯერად თრაკენულ „როდრიგოზე“ იჯდა. ორ ჰიტში ერთი დაბრკოლება დააზიანა და 4 საჯარიმო ქულას საკონტროლო დროის გადაცილებისთვის ერთიც დაუმატა. არადა, შალვა გაჩეჩილაძეს, შეეძლო ასეთივე შედეგით დაემთავრებინა. მანაც მხოლოდ ერთი დაბრკოლება დააზიანა I ჰიტში, მეორეში სტარტის წინ „ეკლერი“ კარგად ვერ დაიურვა და გადაწყვიტა, პირველი დაბრკოლების წინ პატარა წრე შემოევლო, მაგრამ უნებლიეთ, სტარტის ხაზს გადააბიჯა, ეს კი ეგრეთ წოდებული „ვოლტის“ შეცდომაა, რომლისთვისაც ასევე 4 საჯარიმო ქულა ერიცხება. არადა, მთელი მარშრუტი სუფთად იარა! დროის გადაცილებისთვის მასაც — 5 დაუგროვდებოდა და მეორე ადგილი ხომ ულაპარაკო იყო, დამატებითი ხტომების შემდეგ კი, არ ვიცი, შეიძლება, თასიც ჩვენ დაგვრჩენოდა.

*ნორაკიძეს თასის კონკურში არ გაუმართლა: იგი ორივე ცხენით მოიხსნა. ჯერ ბუდიონური ულაყი „დარი“ გაუჯიუტდა, დაღვა, შუა მარშრუტზე, შემდეგ კი „ეროსი“ II ჰიტში, ბოლო დაბრკოლების წინ გაუჩერდა და მხედარიც გადაევლო ცხენს. არადა, ამ დაბრკოლებამდე უშეცდომოდ მივიდნენ. ჩვენს წინა წერილში ეს ეპიზოდები ბოლომდე ზუსტად არ იყო ასახული და ამიტომაც შევჩერდით მათზე.*

— თუ „დარს“ ეს სიჯიუტე მოვაშლევინეთ, როგორც ჩვენი გამოცდილი მწვრთნელები მეუბნებიან, „უსაზღვრო შესაძლებლობების“ ცხენია. „ეკლერმა“ ბოლო ასპარეზობაზე 150 სმ-იანი დაბრკოლება მშვენივრად დაძლია, თუმც უფრო იოლი ჩამოაგდო მარშრუტზე. გაგა თოხაძის „სატურნმაც“ უნდა გაამართლოს: „გახსნის პრიზზე“ გაგამ, ისევე როგორც




შალვამ და მე, სუფთად იარა; დამატებითში კი ერთი ჩამოაგდო, შალვა კი მხოლოდ დროით ჩამორჩა პირველ ოთხეულს.

— მაინც, ყველაზე მეტად, რა შთაბეჭდილებები ჩამოგყვა ბაქოს ტურნირიდან?

— ტურნირის სპორტულ მხარეზე, კერძოდ, ჩვენს გამოსვლაზე, მეტ-ნაკლებად უკვე იყო საუბარი და მომავალში სხვების თვალით დანახული ავ-კარგი უფრო საგულისხმო იქნება. პირადად ჩემზე კი ძალზე იმოქმედა იმ კეთილგანწყობამ, გულითადმა, ნამდვილმა გულშემატკივრულმა დამოკიდებულებამ, რომელსაც ქართველი მხედრების მიმართ იჩენდნენ ასპარეზობის მსაჯები, მონაწილენი, მაყურებლები. მსაჯი-ინფორმატორი ამირ ასლანოვი ყოველ ეპიზოდში ახერხებდა, რომ მხედრების მიმართ სპორტული პატივისცემა და თანადგომა გამოეხატა. ასეთივე ობიექტურობით გამოირჩეოდნენ ტურნირის მთავარი მსაჯი პიოტრ სოლოვიოვი (ყაზახეთი) და მარშრუტების შემდგენელი ვლადიმირ პლატოვი (იაროსლავლი).

ბოლო კონკურზე გამარჯვების შემდეგ, სანამ დაჯილდოების ცერემონიალი დაიწყებოდა, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ქალი, ასე ხუთიოდე წლის ბიჭუნა მოიყვანა და მთხოვა: ეს ჩემი ბიჭია, აქ პონიკლუბში დადის, ხელში აიყვანე, ეგებ კარგ მხედრად გამეზარდოსო. გუშინ საღამოს კი, სანამ სადგურზე გავიდოდით, ზღვის სანაპიროზე გავიარეთ. მშვიდი საღამო იყო, მეთევზეებიც გამოსულიყვნენ. გამოგვესაუბრნენ, ასპარეზობის ამბებიც იცოდნენ, ზოგი დასწრებოდა კიდეც. ერთი ხნიერი აზერბაიჯანელი მოვიდა, დაგვიყვავა — სპინინგი ჩაკეცა და გამომიწოდა, აბა, სხვა მე არაფერი მაქვს, ჩვენი ქალაქის სახსოვრად გქონდესო...

**ნოდარ ეგრალიძე**




საქართველოს XIX ჩემპიონატი 2008 წ.

მ. მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონი

| | | |
|---|---|---|
| ნახევარფინალი I | 30 ოქტომბერი | 14:30 სთ. |
| ნახევარფინალი II | 30 ოქტომბერი | 16:30 სთ. |
| მცირე ფინალი | 4 ნოემბერი | 15:00 სთ. |
| დიდი ფინალი | 9 ნოემბერი | 16:00 სთ. |

საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფის და ფინალურ მატჩებზე გამართვება

საქველმოქმედო აქცია

ორგანიზატორები:

ჩოგბურთი

# არგენტინული დერბი პარიზში

**კაცები. მასტერსი**
**პარიზი. საფრანგეთი**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 2 270 000 ევრო**

### პირველი წრე

ფლორენ სერა (საფრანგეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 4:6 7:5 6:3; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:3 6:4; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:4 3:6 6:4; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:1 6:4; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ჟოსლინ ოდუანა (საფრანგეთი) 6:3 6:4

### მეორე წრე

გაელ მონფილზი (16, საფრანგეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4 6:4; ხუან მარტინ დელ პოტრო (9, არგენტინა) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:0 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2 4:3 (უარი); ფერნანდო ვერდასკო (15, ესპანეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2 6:7 6:2; ენდი როდიკი (7, აშშ) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4; მარინ ჩილიჩი (ხორვატია) — მარსელ გრანოლიერსი (ესპანეთი) 6:4 7:6; დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 7:6 6:3

პარიზის მასტერსი თანდათან ხურდება და კორტზე ნელ-ნელა ბობოლებიც გამოჩნდნენ. მართალია, ჯერ არც რაფაელ ნადალს უთამაშია და არც როჯერ ფედერერს, მაგრამ სამაგიეროდ უკვე ვიხილეთ ის მეჩოგნეები, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვიან — ეს კი უდავოდ ამ კვირის მთავარი ინტრიგაა და ამიტომაც ახლა სწორედ ამაზე შევჩერდებით.

15 სარეიტინგო ქულა მიამატა თავის წლიურ მონაგარს ხუან მარტინ დელ პოტრომ და ამით შანხაის კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. ახალგაზრდა არგენტინელმა მარიო ანჩიჩი დაჯაბნა, თან ამას მხოლოდ 79 წუთი მოანდომა. სამხრეთამერიკელმა ბლიც-კრიგით დაიწყო და პირველ სეტში ხორვატს გეიმიც არ აალებინა. მეორეში ბალკანელმა კი სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ დელ პოტრომ პარტიის შუაწელზე ბრეიკი გააკეთა და ამით ყველაფერიც გადაწყვიტა.

არგენტინელს პარიზში ფინალში გასვლა ანაც ტურნირის მოგება სჭირდება, აზიის ბილეთი საბოლოოდ რომ გაინაღდოს. თუმცა, ეს თუ ვერ შეძლო, მაშინ დელ პოტრო კონკურენტთა წაფორხილებას უნდა დაელოდოს. ხუან მარტინი წლის უკანასკნელ ტურნირზე იმ შემთხვევაშიც მოხვდება, თუ ქვემოთ მოცემული შესაძლებლობებიდან ერთზე მეტი არ ასრულდება — ჟილ სიმონი და დავიდ ფერერი ნახევარფინალამდე წააგებენ; ჯეიმს ბლეიკი და სტანისლას ვავრინკა ფინალამდე ვერ მიაღწევენ; ჟო-ვილფრიედ ცონგა და დავიდ ნალბანდიანი ტურნირს ვერ მოიგებენ.

როგორც ხედავთ, ყველაფერი გვარიანად არეულ-დარეულია და დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სათქმელია, რა მოხდება და ვის გაუმართლებს. თუმცა ბევრ კითხვას პასუხი დელ პოტროს მორიგ შეხვედრაში გაეცემა, როცა ის თანამემამულე ნალბანდიანს უნდა დაეტაკოს — ეს უკანასკნელი გუშინ ნიკლას კიფერს ორ სეტში გაუსწორდა.

არგენტინელთა ჯახი კი მართლაც დაძაბული უნდა გამოვიდეს — აქ ნალბანდიანს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. იგივე განწყობით გავა კორტზე დელ პოტროც და თუკი იმარჯვა, ერთ-ერთ მეტოქეს საბოლოოდ ჩამოიშორებს. თუ დამარცხდა, მაშინ ხუან მარტინს თითების გადაჯვარედინება და იმაზე ოცნება მოუწევს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ერთზე მეტი არ ახდეს.

გუშინ კორტზე შანხაიში წასვლის პრეტენზიის მქონე სხვა მეჩოგნეებიც ვნახეთ, მათ შორის ენდი როდიკი, რომელიც ყველაზე უკეთეს დღეშია — მას კიდევ ორი მატჩის მოგებაღა სჭირდება და შანხაის საგზურიც განაღდებული ექნება. მეორე წრეში კი ამერიკელმა ფელიჩიანო ლოპესი ძალიან მშვიდად და დამაჯერებლად მიჩოგნა.

ისეთი პირი უჩანს, რომ ენდისთვისაც გადამწყვეტი შემდეგი შეხვედრა იქნება, რადგანაც დელ პოტროსი არ იყოს, ისიც ალბათ ერთ-ერთ უშუალო მეტოქეს უნდა დაეჯახოს. ამერიკელი ჟილ სიმონისა და იგორ ანდრეევის წყვილის გამარჯვებულს შეხვდება და სავარაუდოდ, ეს მაინც სიმონი იქნება, რადგანაც საკუთარი ტრიბუნების წინ მოთამაშე ფრანგმა საეჭვოა, რუსს მოგება დაუთმოს.


ხუან მარტინ დელ პოტრო

სხვა მატჩებიდან კი ნოვაკ ჯოკოვიჩის მოგება გამოვყოთ. მართალია, სერბს სეზონის მიწურულს ცუდად თამაში დასჩემდა, ეტყობა, ძალები აღარ ყოფნის ხოლმე. თუმც დმიტრი ტურსუნოვთან შეხვედრაში ნოვაკს გადაღლილობის არაფერი ეტყობოდა — პირველი სეტი ადვილად მოიგო, ხოლო მეორეშიც რომ დაწინაურდა, რუსმა თეთრი დროშა ნაადრევად გამოფინა და თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა.

საინტერესო გამოდგა ესპანური დერბი ფერნანდო ვერდასკოსა და ტომი რობრედოს შორის. ამათგან ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის, რომ დარბაზში ჩოგნაობის დიდი მოყვარულია და ამიტომაც ორივე გვარიანად წვალობდა — საბოლოოდ კი ვერდასკომ იმიტომ მოიგო, რომ უფრო მალე აუღო ალღო საფარს და ამიტომ მეტოქეზე ნაკლები ბრიყვული შეცდომაც დაუშვა.

**კახა ლომაშვილი**

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ცრემლები და ბრილიანტები


პოლ პირსმა საჩემპიონო ბეჭედი ცრემლით დაასველა

28 ოქტომბერი

**ბოსტონი 90:85 კლივლენდი**
ბოსტონი: პირსი (27), რონდო (14), პოუი (13), გარნეტი (11), რ. ალენი (11), ტ. ალენი (11)
კლივლენდი: ჯეიმსი (22 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი), ილგაუსკასი (15), უილიამსი (12)

**ჩიკაგო 108:95 მილუოკი**
ჩიკაგო: დენგი (21), გორდონი (18), ტომასი (15 ქულა, 10 მოხსნა), ჰაინრიხი (15), გუდენი (18)
მილუოკი: რედი (30), ჯეფერსონი (15)

**ლეიკერსი 96:76 პორტლენდი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (23 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი), გასოლი (15), არიზა (11)
პორტლენდი: აუთლოო (18), ფერნანდესი (16), როი (14)

2008-09 რეგულარული ჩემპიონატი პირველად ბოსტონში გაიხსნა იქაური „სელტიქსისა" და „კლივლენდ კავალიერზის" შეხვედრით. გასული პლეი ოფის მეორე რაუნდის ერთგვარ რემატჩს წინ უძღვოდა ჩემპიონი „კელტებს" 20-წუთიანი დაჯილდოების ცერემონია. საზეიმოდ აღიმართა ბანერი წარწერით, 17-გზის ჩემპიონები, ითქვა მგზნებარე სიტყვა და „სელტიქსის" ძველმა კაპიტანმა ჯონ ჰავლიჩეკმა თასი გადასცა ახალი თაობის ბოსტონელებს და ჩამოურიგა წვრილი ბრილიანტებით მოოჭვილი ბეჭდებიც. ახალმა კაპიტანმა და ფინალის უძვირფასესმა მოთამაშემ პოლ პირსმა ბეჭედი ცრემლით დაასველა, მერე კი გუნდს მოედანზე გაუძღვა, თავის წილად 27 ქულა გააკეთა და ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი" დაძაბულ შეხლაში დაამარცხებინა.

რაც შეეხება პრინც-ლებრონს, ურიგოდ მასაც არ უთამაშია, მაგრამ გასული სეზონის პირველმა მექულემ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაალალატა „კავალერია" — უკანასკნელ 11 წამში ორქულიანიცააცილა და წყვილი საჯარიმოც.

სეზონი გაიხსნა „ბოსტონის" მიერ ფინალში ძლეული „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სამკვიდრო „სტეიპლზ სენთერშიც", სადაც ვიცე-ჩემპიონებმა დამაჯერებლად აჯობეს „პორტლენდს". გამარჯვებულთა შორის საუკეთესო, ცხადია, კობი ბრაიანტი გახლდათ, პორტლენდელთა მხრიდან კი ნბა-ში მშვენიერი დებიუტი მოიწყო 23 წლის ესპანელმა ახალბედამ რუდი ფერნანდესმა, მაშინ, როდესაც შარშანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, აზმახმა გრეგ ოდენმა ქულაც ვერ გააკეთა და ყველა სიკეთესთან ერთად ის ტრავმაც გაიმიზეზა, რომელმაც სრულად გამოატოვებინა ერთი სეზონი.

ნბა-ს კიდევ ერთმა ახალწვეულმა, წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა დერიკ როუზმაც არ შეირცხვინა თავი — 11 ქულა და 9 პასი გააზერხა და „ჩიკაგოს" „მილუოკის" ძლევაში ხელი შეაშველა.

**ირაკლი ფირაშვილი**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

28 ოქტომბერი

**ვაშინგტონი 4:3 ნეშვილი**
2:1 0:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)
1:0 კოზლოვი (13), 1:1 კოისტინენი (14), 2:1 სტეკელი (16), 2:2 არნოტი (32), 3:2 სიომინი (42), 3:3 არნოტი (54)

**ატლანტა 0:7 ფილადელფია**
0:1 0:2 0:4
0:1 ლუპული (2), 0:2 კნუბლი (24), 0:3 განიე (40), 0:4 კნუბლი (42), 0:5 ლუპული (42), 0:6 განიე (48), 0:7 მეტროპოლიტი (58)

**ტორონტო 2:3 ტამპა**
1:2 1:1 0:0
0:1 იოკინენი (6), 1:1 სტეიჯაკი (8), 1:2 ლეკავალიე (16), 1:3 ლეკავალიე (25), 2:3 ვან რინი (34)

**მონრეალი 3:2 კაროლინა**
2:1 0:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)
0:1 ბაბჩუკი (12), 1:1 კოვალიოვი (16), 2:1 ტანგეი (20), 2:2 კალენი (41)

**კალგარი 3:0 კოლორადო**
0:0 0:0 3:0
1:0 გლენკროსი (49), 2:0 ბუკრი (53), 3:0 კამალერი (56)

**ვანკუვერი 0:1 ბოსტონი**
0:1 0:0 0:0
0:1 რაიდერი (11)

**სან ხოსე 2:1 პიტსბურგი**
1:0 0:0 1:1
1:0 პაველსკი (11), 2:0 გრირი (53), 2:1 ფედოტენკო (55)

| ალმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| რეინჯერსი | 12 | 9 | 1 | 2 | 33:23 | 19 |
| პიტსბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 24:20 | 12 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 5 | 1 | 2 | 20:18 | 11 |
| ფილადელფია | 8 | 2 | 3 | 3 | 29:34 | 7 |
| აილენდერსი | 8 | 2 | 0 | 6 | 19:29 | 4 |
| **ჩრდილო-ალმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 9 | 6 | 2 | 1 | 29:20 | 14 |
| მონრეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 27:17 | 11 |
| ბოსტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 26:27 | 11 |
| ტორონტო | 8 | 3 | 3 | 2 | 18:25 | 9 |
| ოტავა | 9 | 3 | 1 | 5 | 27:27 | 7 |
| **სამხრეთ-ალმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 7 | 4 | 1 | 2 | 22:22 | 9 |
| ვაშინგტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 28:26 | 9 |
| ფლორიდა | 8 | 4 | 0 | 4 | 19:25 | 8 |
| ატლანტა | 8 | 2 | 2 | 4 | 23:27 | 6 |
| ტამპა | 7 | 1 | 3 | 3 | 11:18 | 5 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 9 | 7 | 1 | 1 | 35:29 | 15 |
| სენტ ლუისი | 8 | 5 | 0 | 3 | 29:23 | 10 |
| ჩიკაგო | 9 | 3 | 3 | 3 | 27:27 | 9 |
| ნეშვილი | 8 | 4 | 0 | 4 | 29:31 | 8 |
| კოლუმბუსი | 9 | 3 | 0 | 6 | 24:31 | 6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 7 | 6 | 1 | 0 | 23:14 | 13 |
| კოლორადო | 8 | 5 | 0 | 3 | 30:24 | 10 |
| კალგარი | 8 | 4 | 1 | 3 | 25:27 | 9 |
| ედმონტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:23 | 9 |
| ვანკუვერი | 8 | 4 | 0 | 4 | 28:28 | 8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 9 | 7 | 0 | 2 | 31:23 | 14 |
| ანაჰაიმი | 10 | 5 | 0 | 5 | 29:31 | 10 |
| დალასი | 9 | 3 | 2 | 4 | 28:38 | 8 |
| ლოს ანჯელესი | 8 | 3 | 1 | 4 | 25:23 | 7 |
| ფინიქსი | 7 | 3 | 0 | 4 | 15:22 | 6 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# უკანასკნელი ჯენტლმენი მეფორმულე



**დეიმონ ჰილი**

ინგლისი

დაიბადა 1960 წლის 17 სექტემბერს ლონდონში
ცხოვრობს ჰილდფორდში, სურეის საგრაფო (ინგლისი)
ჰყავს მეუღლე ჯორჯია და ოთხი შვილი
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1992-1999 წლებში
მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონი
1994, 1995 წლების ვიცე-ჩემპიონი
1993 წლის მესამე პრიზიორი
115 რბოლა, 22 მოგება, 42 პოდიუმი, 20 პოულ-პოზიცია,
19 უსწრაფესი წრე, 1 დიდი სლემი, 360 ქულა
გუნდები: „ბრებემ-ჯადი“ (1992), „უილიამს-რენო“ (1993-96),
„ეროუს-იამაჰა“ (1997), „ჯორდან-ჰონდა“ (1998-99)

*12 წლის წინათ, სწორედ ოქტომბერში, იაპონიის გრან პრიზე ფორმულა ერთის 25-ე მსოფლიოს ჩემპიონი „დაიბადა“. ეს გახლავთ დეიმონ ჰილი — მეექვსე და ჯერჯერობით ბოლო ინგლისელი ტრიუმფატორი, „სამეფო რბოლების“ უკანასკნელი ჯენტლმენი, როგორც მას პატივისცემით მოიხსენიებენ.*

*დეიმონი ორგზის გვირგვინოსან (1962, 1968) გრემ ჰილის ვაჟია, ხოლო ჰილების მამაშვილური წყვილი ერთდერთია საფორმულო ისტორიაში 13 ოჯახურ დუეტთაგან, რომლის ორივე მრბოლმა შეძლო მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება*

## დედის ხათრით

დეიმონი 15 წლის იყო, როცა მისი ლეგენდარული მამა 46 წლის ასაკში საკუთარი თვითმფრინავით ლონდონის მახლობლად კატასტროფაში დაიღუპა თავის საფორმულო გუნდ „ჰილ-კოსუორტის“ თითქმის მთელ შემადგენლობასთან ერთად. თვითმფრინავი დაზღვეული არ ყოფილა და დაღუპული მგზავრების ნათესავებმა ჰილების ოჯახს უზარმაზარი საკომპენსაციო თანხის ანგარიში წარუდგინეს. გრემის ქვრივ ბეტის სახლის გაყიდვა მოუხდა და დეიმონიც, თავის ორ დასთან ერთად, შედარებითი ფუფუნებიდან თითქმის სიღარიბეში აღმოჩნდა.

ბიჭი იმ დროს მოტოციკლს დააქროლებდა და მანქანებზე არც ფიქრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ავტოგარემოში გაიზარდა. იგი ფულს კურიერობით შოულობდა — იაპონური მოტორაშით მთელ ლონდონში ამანათები დაჰქონდა. შემოსავალი „კავასაკის“ სარეკლამო სერიის რბოლებში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა. მაგრამ დედამისი ამ გატაცების წინააღმდეგი იყო და ურჩევდა, ამპლუა შეეცვალა, რადგან ავტორბოლას გაცილებით უსაფრთხოდ თვლიდა. არადა, დეიმონის ორბორბლიანი კარიერა მშვენივრად მიდიოდა, ექვს სეზონში 40-ზე მეტი რბოლა მოიგო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დედის სურვილს დაემორჩილა, თუმც ეს დაგვიანებით მოხდა. უმცროსი ჰილი სარბოლო ავტოს საჭეს პირველად 23 წლისა მიუჯდა.

თავიდან იყო ფორმულა 1600-ის „არგო“, შემდეგ ფორმულა „ფორდი“. ხანდახან გამარჯვებებსაც აღწევდა, თუმც არც ისე ხშირად, როგორც მოტოციკლით. მერე კი დეიმონს პრობლემები მოეძალა, სპორტულიც, ფინანსურიც და ოჯახურიც —უფროს შვილ ოლივერს დაუნის სინდრომი აღმოაჩნდა. ხუთი წელი უხეირო, უიმედო ჯირითში გაატარა, მის ადგილზე ალბათ ყველა ხელს ჩაიქნევდა და სხვა საქმეს მოეკიდებოდა, მაგრამ ბოლოს ბედმა მაინც გაუღიმა. 1991 წელს ფორმულა 3000-ში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, როგორც იქნა, ჰილს სერიოზული ყურადღება მიაქციეს და ფრენკ უილიამსმა თავის გუნდში მეტესტედ აიყვანა. ისე, როგორი „გამართლებაა“ 31 წლის ასაკში ტესტპილოტობა, მეტად უპერსპექტივო რაღა უნდა ყოფილიყო?

მაგრამ მომდევნო სეზონში დეიმონი საპირველფორმულო საჯინიბოს ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა, თუმც უსუსურ „ბრებემში“, სადაც ცნობილი გვარის გამო მიიწვიეს იმ იმედით, რომ გარკვეული ყურადღება მიეპყროთ აგონიზირებული გუნდისკენ.

თავის სადებიუტო, 1992 წლის ჩემპიონატში დეიმონმა ვერაფრით უშველა უხეირო „ჯადის“ ძრავიან სულთმობრძავ „ბრებემს“ — რვიდან ექვს ეტაპზე საკვალიფიკაციო ზღუდეც ვერ დაძლია, ორად ორ რბოლაში კი შესაბამისად მე-16 და მე-11 ადგილებზე გავიდა.

## ტარანი ადელაიდაში

ლეგენდარული ავსტრალიელი მეფორმულის ჯეკ ბრებემის გუნდისთვის ის სეზონი უკანასკნელი აღმოჩნდა. თუმც ჰილი უმუშევარი არ დარჩენილა, „უილიამსში“ მისი მეტესტეობით კმაყოფილები იყვნენ და როცა მსოფლიოს ჩემპიონის, ჯაჯლანა ნაიჯელ მენსელის მოხსნით ადგილი გათავისუფლდა, სერ ფრენკმა ის უყოყმანოდ ანდო დეიმონს, გუნდს ერთსულოვნად სურდა ჰილი, მე კი მენსელთან ნერვების შლა მომბეზრდაო.

„რენოს სუპერძრავიანი „უილიამს FW15“ — იმ დროისთვის საუკეთესო მანქანა საუკეთესო „გულით“ — ფანტასტიკურად სწრაფი და საიმედო იყო. „ქრისტეს ასაკის“ ჰილმაც თანამემამულე ბოსს ვარაუდი გაუმართლა, შუა სეზონში ზედიზედ სამი დიდი პრიზი მოიგო და კიდევ შვიდი პოდიუმით გენერალურ ნომინაციაში გიგანტების, ალენ პროსტისა და აირტონ სენას შემდეგ მესამე ადგილზე გავიდა.

მომდევნო ორი სეზონი ინგლისელი პილოტისთვის უკეთესი შედეგით დასრულდა — ორჯერვე მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა მოიპოვა, თანაც 1994 წელს ერთ ნაბიჯზე აღმოჩნდა ტიტულთან. მიხაელ შუმახერმა საუცხოო „ბენეტონ-ფორდით“ ქარიშხლიანი ტემპით დაიწყო, შვიდი ეტაპიდან ექვსში გაიმარჯვა, ერთშიც მეორე იყო და შუა სეზონში დამანოკაუტებელი, 37-ქულიანი სხვაობით უსწრებდა დეიმონს. გვირგვინოსანი გარკვეული ჩანდა და ჩემპიონატმაც ინტერესი დაკარგა. მაგრამ საქმეში საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ჩინოვნიკები ჩაერივნენ, ვერ ვიტყვით, უსამართლოდ, თუმც მიხაელი მეტისმეტად მკაცრად დასაჯეს ტექრეგლამენტის დარღვევისთვის. ორ რბოლაში დაკავებული პირველ-მეორე ადგილები ჩამოართვეს და დამატებით ორეტაპიანი დისკვალიფიკაციაც „გამოუწერეს“. ოთხივე რბოლის გამარჯვებული ჰილი გახდა და გერმანელი „მზეჭაბუკის“ ვეება უპირატესობა დასკვნითი ტურის წინ კინკილა ქულამდე გაილია.

ერთი სიტყვით, ინტრიგა გაცოცხლდა და ტრიუმფატორიც ბოლო, ავსტრალიურ ეტაპს უნდა დაესახელებინა. ეს მეტად სკანდალურ ვითარებაში მოხდა. რბოლის ტრასა ოკეანისპირა ადელაიდას ქუჩებში გადიოდა. შუმახერი თავიდანვე დაწინაურდა და კომფორტული უპირატესობითაც ლიდერობდა, მაგრამ შუა დისტანციაზე ერთ-ერთ „ბრმა“ მოსახვევში შეცდა, „ბენეტონი“ გზიდან გაუსრიალდა და ბეტონის ზღუდეს მინარცხებული, უკან გამოვარდა. ამ დროს მოსახვევში მაღალი სისწრაფით შეიჭრა ჰილი, გზის პირას „მტრის“ პასიური მანქანა შენიშნა და შიდა მხრიდან დააპირა ვიწრო შუალედში გაძრომა. მიხაელმა, რაკი კონკურენტი ასწრებდა და თან მისი ბოლიდი დაზიანებული იყო, საჭე მკვეთრად მარჯვნივ მიაბრუნა და „ბენეტონი“ „უილიამსის“ წინა მარცხენა ბორბალს მიახეთქა. გერმანელმა მიზანს მიაღწია — „უილიამსი“ თითქმის გატეხილი დაკიდულობით ბოქსამდე კი მიბობღდა, მაგრამ მექანიკოსებმა ვერაფრით უშველეს. შეჯახების შედეგად „ბენეტონი“ ჰაერში ახტა და ძირს დაცემული, ძველი საბურავების კედელში ცხვირით შეერჭო, თუმც ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

ამრიგად, ორივენი ბრძოლას გამოეთიშნენ და შუმახერმა იმ ერთქულიანი სხვაობით ჩემპიონობა მოიპოვა. მისი სამარცხვინო ტარანი კარგა ხანს განხილვა-გაკიცხვის საგანი იყო და ახლაც დაცინვით უხსენებენ, თუ რა გზით მოიგო თავისი პირველი ტიტული.

მომდევნო წელს ვითარება გამეორდა. ლაპარაკია მოქმედ პირებზე და საბოლოო შედეგზე, თორემ სატიტულო ბრძოლაში დაძაბულობის ნიშანწყალიც არ ჩანდა და დეიმონი ისევ ვიცეჩემპიონობას „დასჯერდა“.

## ჩემპიონი, ჩემპიონის შვილი

ფორმულა 1-ში ჰილის გვარის სამ პილოტს ურბოლია და სამივეს შეძლო გაჩემპიონება. 1961 წლის ტრიუმფატორს, ამერიკელ ფილს არაფერი აკავშირებს ინგლისელ მამა-შვილთან. საინტერესოა, რომ მოგვარეებმა ტიტულები მოწიფულ ასაკში მოიპოვეს: ფილი 34 წლის იყო, გრემი პირველად 33-ის, მეორედ — 39-ის, ხოლო დეიმონს გვირგვინი 36 წლისას ხვდა.

უმცროსი ჰილის ოცნება 1996 წელს ახდა. მას სატიტულო გზა გაუადვილა შუმახერის გადასვლამ იმ დროისთვის სუსტ „ფერარიში“, მთავარ მეტოქედ კი კანადელი თანაგუნდელი ჟაკ ვილნევი „გამოეცხადა“. დეიმონი თავიდანვე ფიცხლად შეუდგა საქმეს — საწყისი ხუთი რბოლიდან ოთხი მოიგო და სოლიდური, 21-ქულიანი სხვაობით ჩამოიტოვა ახალბედა პარტნიორი.

ჰილისთვის ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, შემდგომში კიდევ ოთხ გრან პრიზე იმარჯვა და გაჩემპიონების ოფიციალურად გაფორმება მხოლოდ დროის საკითხი იყო, როცა ფინალამდე სამი ეტაპით ადრე მეხი გავარდა: ფრენკ უილიამსმა გამოაცხადა, რომ საბოლოო შედეგის მიუხედავად, დეიმონი გუნდს დატოვებდა და მის ადგილს გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი დაიკავებდა. 36 წლის ბრიტანელი „უსახელო“ ჰაჰა-ზე შვიდი წლით უფროსი კი გახლდათ, თუმც არ გვგონია, მხოლოდ „სიბერე“ ყოფილიყო მოხსნის მიზეზი.

ასეთი „განაჩენის“ შემდეგ გასაგებია, რა განწყობით გავიდოდა ჰილი დარჩენილ ეტაპებზე, თუმც მაინც შეძლო უილიამსთან ოთხწლიანი თანამშრომლობის კაცურად დასრულება სეზონის ბოლო, იაპონურ გრან პრიზე შთამბეჭდავი გამარჯვებით და მსოფლიოს ჩემპიონობა ღირსეულად მოიპოვა ვილნევზე 19-ქულიანი უპირატესობით. დიდი ბრიტანეთის დედოფალმა იგი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა, იგივე აღიარება 1968 წელს მამამისსაც ერგო.

## ჯენტლმენის ფინიში

ჰილი იმ პერიოდში საერთოდ ფორმულის მიტოვებას აპირებდა, გაგრძელების არც სურვილი ჰქონდა და აღარც მოტივაცია, რაკი ცხოვრების მიზანს მიაღწია. მაგრამ მაინც დაყაბულდა თანამემამულე ტომ უოკინშოუს თხოვნას და ერთი სეზონი „ეროუსში“ გაატარა. გუნდის საქმეების გამოსასწორებლად მარტო ჩემპიონის გადაბირება საკმარისი არ აღმოჩნდა — „იამაჰას“ უხეიროძრავიანი ბოლიდით 17 ეტაპზე მხოლოდ ორჯერ მოხვდა ჩასათვლელ ექვსეულში და 7 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა.

ბოლო ორი საკარიერო წელი დეიმონმა ირლანდიელ ედი ჯორდანის საჯინიბოში იმუშავა, სწორედ იქ მოიგო თავისი უკანასკნელი, 22-ე დიდი პრიზი და [illegible] კვალიფიკაციაში მეექვსე ადგილზე გავიდა.

დასასრული [illegible] აღმოჩნდა — 1999 წელს იგივე მანქანით და იგივე ძრავით ბრიტმა მძღოლმა ერთხელაც ვერ დაიკავა საპრიზო ადგილი. ბოლიდი ჩვეულებრივზე ხშირად ფუჭდებოდა, თავად კი გალიზიანებული ჩანდა, ეტყობა, მართლა დავბერდიო და ერთი-ორჯერ ლამის შუა სეზონში მიატოვა ჯირითი. მაინც ჩაამთავრა ჩემპიონატი სულ რაღაც შვიდი ქულითა და საერთო მე-12 ადგილით და 39 წლის ექსჩემპიონმა ასე უნიათოდ დაასრულა რვასეზონიანი კარიერა.

ჰილმა მხოლოდ ერთხელ „მოიზომა“ საპირველფორმულო გვირგვინი, თუმც ბევრი სპეციალისტის, მათ შორის ავსტრიელი ასის გერხარდ ბერგერის აზრით, მეტს იმსახურებდა, სხვა მის ადგილზე, როცა ხელთ საუკეთესო მანქანა ჰქონდა, ერთი-ორი ტიტულის მიმატებასაც შეძლებდაო. ქომაგებს დეიმონი, ცხადია, უყვართ სპორტისადმი რაინდული დამოკიდებულების გამო — მას არ აწყობდა გამარჯვება ნებისმიერი ხერხით. იმავდროულად თვლიან, რომ მისი მეტისმეტად ჯენტლმენობა ტრასაზეც კი, უმაღლესი მიღწევებისთვის არვარგოდა, საჭირო იყო მეტი სიმკაცრე, ოდნავ მეტი ეგოიზმიც კი.

ასეა თუ ისე, ჰილის „სამეფო“ ეპოპეა მოკლე ხანში დამთავრდა (მამამისი 18 წელი დაქროდა). სამი წლის წინ იგი ბრიტანელ მრბოლთა კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს, ამ პოსტზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი შოტლანდიელი ჯეკი სტიუარტი შეცვალა. დეიმონი დღეს წარმატებული ბიზნესმენია. ფლობს კომპანია „P1 ინტერნეშენელს“, რომლის მთავარი საქმიანობა სუპერმანქანების გაქირავებაა, აგრეთვე „აუდისა“ და BMW-ს გასაყიდ რამდენიმე ავტოსალონს.

ჯენტლმენი დეიმონი სამაგალითო მეოჯახეა. თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ იქორწინა სანდომიან, ინტელიგენტურ და იმავდროულად ნებისყოფიან ჯორჯიაზე, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა ქმრის წარმატებებში. მას მხატვარ-მოდელიორის მშვენიერი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ საკუთარი კარიერა ქმრისას შესწირა. ჰილებს ოთხი შვილი ჰყავთ. ერთხანს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ცხოვრობდნენ, ახლა ინგლისში, სურეის საგრაფოს ჰილდფორდში ბინადრობენ. დეიმონი ჯეელობაში ურიგო გიტარისტი არ იყო და მუსიკალური ჯგუფის წევრობაზე ოცნებობდა, მაგრამ ერთდროულად ორ საქმეს ხომ ვერ შეეჭიდებოდა.

არცთუ მთლად დალხენილი საფორმულო გზის მიუხედავად, დეიმონ ჰილი წინა ცხოვრებით ფრიად კმაყოფილია: „მე ისეთ უდიდეს პილოტთა გარემოში ვიზრდებოდი, როგორებიც იყვნენ სტირლინგ მოსი, ჯეკი სტიუარტი, ჯიმ კლარკი, ჯონ სარტისი. აგრეთვე პატივი მხვდა, მემუშავა ერთ გუნდში ალენ პროსტთან, ნაიჯელ მენსელთან და შეუდარებელ აირტონ სენასთან. მესმის, რამდენად გამიმართლა, რომ ასეთი პიროვნებების გვერდით ვიყავი. და აქ ვიპოვე მთავარი — მეგობრები, ვის გარეშეც ალბათ მხოლოდ იმის მეხუთედს მივაღწევდი, რაც შევძელი“.

**გია ახალაძე**

## გერმანია

### I ბუნდესლიგა

**ბოხუმი 1:3 ჰოფენჰაიმი**

1:0 გროტი (3), 1:1 ბა (64), 1:2 იბიშევიჩი (70პ), 1:3 ედუარდო (71)

**აინტრახტი 1:2 ბაიერნი**

1:0 დემიკელისი (55ს.კ.), 1:1 კლოზე (65), 1:2 რიბერი (80)

**ჰამბურგი 2:0 შტუტგარტი**

1:0 ტროხოვსკი (17პ), 2:0 მატიისენი (73)

**ჰერტა 3:0 ჰანოვერი**

1:0 პანტელიჩი (63), 2:0 ვორონინი (84), 3:0 დომოვჩისკი (90)

**კიოლნი 0:1 დორტმუნდი**

0:1 კრინგე (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოფენჰაიმი | 10 | 7 | 1 | 2 | 27:15 | 22 |
| ლევერკუზენი | 10 | 7 | 0 | 3 | 24:11 | 21 |
| ჰამბურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:15 | 20 |
| ბაიერნი | 10 | 5 | 3 | 2 | 22:16 | 18 |
| ჰერტა | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | 18 |
| შალკე | 10 | 4 | 5 | 1 | 15:8 | 17 |
| დორტმუნდი | 10 | 4 | 5 | 1 | 18:15 | 17 |
| ვოლფსბურგი | 10 | 4 | 4 | 2 | 23:16 | 16 |
| შტუტგარტი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:12 | 16 |
| ვერდერი | 10 | 3 | 4 | 3 | 23:22 | 13 |
| კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 8:12 | 13 |
| აინტრახტი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:16 | 9 |
| კარლსრუე | 10 | 3 | 0 | 7 | 8:16 | 9 |
| ჰანოვერი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:20 | 9 |
| არმინია | 10 | 1 | 5 | 4 | 11:17 | 8 |
| ბოხუმი | 10 | 1 | 4 | 5 | 13:18 | 7 |
| გლადბახი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:20 | 7 |
| კოტბუსი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:15 | 6 |

### II ბუნდესლიგა

**დუისბურგი 1:2 ზტ პაული**

**ფრაიბურგი 0:1 მაინცი**

**ლაუტერნი 2:0 ოსნაბრიუკი**

**მიუნხენი 1:0 კობლენცი**

**ნიურნბერგი 2:1 ობერჰაუზენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 10 | 6 | 3 | 1 | 21:10 | 21 |
| ფრაიბურგი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:8 | 19 |
| ლაუტერნი | 9 | 6 | 1 | 2 | 21:15 | 19 |
| ფიურტი | 9 | 5 | 2 | 2 | 24:16 | 17 |
| ალენი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:17 | 17 |
| მიუნხენი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:9 | 16 |
| ზანკტ პაული | 10 | 5 | 1 | 4 | 19:21 | 16 |
| დუისბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 15 |
| ალემანია | 10 | 4 | 2 | 4 | 13:13 | 14 |
| ჰანზა | 10 | 3 | 4 | 3 | 22:13 | 13 |
| ნიურნბერგი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:13 | 13 |
| კობლენცი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:17 | 12 |
| ოსნაბრიუკი | 10 | 3 | 2 | 5 | 15:21 | 11 |
| ინგოლშტადტი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:20 | 11 |
| აუგსბურგი | 10 | 3 | 1 | 6 | 14:18 | 10 |
| ობერჰაუზენი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:24 | 9 |
| ფრანკფურტი | 10 | 1 | 4 | 5 | 11:17 | 7 |
| ვეჰენი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:21 | 7 |

### III ლიგა

**აალენი 2:0 ბრაუნშვაიგი**

**ფორტუნა 1:0 ოფენბახი**

**რეგენსბურგი 0:1 ემდენი**

**ზანდჰაუზენი 3:3 ბაიერნი (მ)**

**უნტერჰახინგი 0:2 შტუტგარტი (მ)**

**ვერდერი (მ) — დინამო** ჩაიშალა

### ჩრდ. რეგიონალლიგა

**კილი 0:0 ბაბელსბერგი**

**ობერნოილანდი 2:0 ჰერტა (მ)**

**ქემნიცი 1:0 ჰამბურგი (მ)**

**კოტბუსი (მ) 1:2 ლაიფციგი**

**ჰანოვერი (მ) 0:1 ჰალეშერი**

**მაგდებურგი 3:0 ლიუბეკი**

**თურქიემი 2:1 ვოლფსბურგი (მ)**

**ვილჰელმსჰავენი 2:0 ჰანზა (მ)**

### სამხრეთ რეგიონალლიგა

**აინტრახტი (მ) 3:0 გროსბარდორფი**

**ფრაიბურგი (მ) 1:1 უნტერჰახინგი (მ)**

**ბამბერგი 1:1 პფულენდორფი**

**კასელი 0:1 კარლსრუე (მ)**

**როიტლინგენი 0:1 ჰაიდენჰაიმი**

**ულმი 1:1 აშაფენბურგი**

**ფიურტი (მ) — ვეენი (მ)** გადაიდო

### დასავლეთ რეგიონალლიგა

**ელვერსბერგი 1:1 კიოლნი (მ)**

**კლევე 0:1 ვორმსი**

**მაინცი (მ) 0:0 მიუნსტერი**

**ესენი 2:1 ფერლი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა

**ასტონ ვილა 3:2 ბლექბერნი**

1:0 უორნოკი (30), 1:1 იანგი (45), 2:1 ბარი (65), 3:1 აგბონლაჰორი (87), 3:2 ემერტონი (90)

**ფულემი 2:0 უიგანი**

1:0, 2:0 ჯონსონი (11, 60)

**ჰალი 0:3 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (3), 0:2 ანელკა (50), 0:3 მალუდა (75)

**სტოკი 1:0 სანდერლენდი**

1:0 ფულერი (73)

**არსენალი 4:4 ტოტენჰემი**

0:1 ბენთლი (13), 1:1 სილვესტრი (37), 2:1 გალასი (46), 3:1 ადებაიორი (65), 3:2 ბენტი (67), 4:2 ვან პერსი (68), 4:3 ჯენასი (89), 4:4 ლენონი (90)

**ბოლტონი 0:1 ევერტონი**

0:1 ფლაინი (90)

**ლივერპული 1:0 პორტსმუთი**

1:0 ჯერარდი (76პ)

**მანჩესტერი 2:0 ვესტ ჰემი**

1:0, 2:0 რონალდუ (14, 30)

**მიდლსბრო 2:0 სიტი**

1:0 ალვესი (53პ), 2:0 ონილი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 10 | 8 | 2 | 0 | 15:6 | 26 |
| ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:4 | 23 |
| არსენალი | 10 | 6 | 2 | 2 | 22:10 | 20 |
| ასტონ ვილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19:12 | 20 |
| ჰალი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:14 | 20 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:5 | 18 |
| პორტსმუთი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:15 | 14 |
| სიტი | 10 | 4 | 1 | 5 | 23:16 | 13 |
| მიდლსბრო | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| სანდერლენდი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| ვესტ ჰემი | 10 | 4 | 0 | 6 | 14:18 | 12 |
| ევერტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:19 | 12 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:18 | 12 |
| ფულემი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:8 | 11 |
| სტოკი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:18 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:16 | 10 |
| ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:18 | 9 |
| უიგანი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:15 | 8 |
| ბოლტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:13 | 8 |
| ტოტენჰემი | 10 | 1 | 3 | 6 | 11:16 | 6 |

### ასოციაციის თასი

**ჰორშემი 1:4 სტივენეიჯი**

## შვედეთი

### ალსვენსკა

**ელფსბორგი 1:0 იურგორდენი**

**ჰამარბი 2:1 ჰალმსტადი**

**კალმარი 3:1 გიოფლე**

**ტრელებორგი 0:0 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 28 | 19 | 3 | 6 | 62:30 | 60 |
| ელფსბორგი | 28 | 17 | 6 | 5 | 44:17 | 57 |
| გიოტებორგი | 28 | 14 | 9 | 5 | 46:23 | 51 |
| ჰელსინგბორგი | 28 | 15 | 6 | 7 | 51:37 | 51 |
| ჰამარბი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:40 | 41 |
| ჰალმსტადი | 28 | 11 | 7 | 10 | 39:33 | 40 |
| აიკ | 28 | 10 | 9 | 9 | 31:31 | 39 |
| მალმიო | 28 | 10 | 8 | 10 | 39:43 | 38 |
| ტრელებორგი | 28 | 8 | 12 | 8 | 27:27 | 36 |
| იორებრო | 28 | 9 | 9 | 10 | 31:38 | 36 |
| იურგორდენი | 28 | 9 | 9 | 10 | 28:35 | 36 |
| გაის | 28 | 8 | 11 | 9 | 27:34 | 35 |
| გეფლე | 28 | 7 | 6 | 15 | 29:37 | 27 |
| ლიუნგსკილე | 28 | 6 | 6 | 16 | 23:46 | 24 |
| სუნდსვალი | 28 | 5 | 7 | 16 | 25:46 | 22 |
| ნორჩიოპინგი | 28 | 3 | 8 | 17 | 26:50 | 17 |

### სუპერეტა

**იოსტერსი 2:1 იონჩოპინგსი**

**ვასალუნდი 0:0 ბუნკეფლო**

## იტალია

### სერია A

**მილანი 2:1 სიენა**

1:0 ინძაგი (31), 1:1 ვერგასოლა (54), 2:1 კაკა (65პ)

**ბოლონია 1:2 იუვენტუსი**

0:1, 0:2 ნედვედი (12, 56), 1:2 ვაიო (74)

**კატანია 0:2 უდინეზე**

0:2 სანჩესი (13), 0:2 კვალიარელა (83)

**კიევო 1:2 ლაციო**

1:0 პელისიერი (11), 1:1 პანდევი (14), 1:2 მანტოვანი (82ს.კ.)

**ფიორენტინა 0:0 ინტერი**

**ჯენოა 2:1 კალიარი**

1:0 პაპასტატოპულოსი (25), 2:0 მოტა (55), 2:1 ბიანკო (66)

**ლეჩე 1:1 პალერმო**

1:0 კასია (22), 1:1 კავანი (88)

**ნაპოლი 3:0 რეჯინა**

1:0, 2:0, 3:0 დენისი (7, 16, 63)

**ტორინო 2:1 ატალანტა**

1:0 ამორუზო (62), 2:0 სტელონე (64), 2:1 ფლოკარი (66)

**რომა — სამპდორია**

მე-5 წუთზე წვიმის გამო შეწყდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უდინეზე | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| ნაპოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:7 | 20 |
| მილანი | 9 | 6 | 1 | 2 | 14:7 | 19 |
| ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:5 | 18 |
| ფიორენტინა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 17 |
| ლაციო | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 16 |
| ჯენოა | 9 | 5 | 1 | 3 | 12:8 | 16 |
| იუვენტუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 |
| კატანია | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 |
| ატალანტა | 9 | 4 | 1 | 4 | 9:9 | 13 |
| პალერმო | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | 13 |
| ლეჩე | 9 | 2 | 4 | 3 | 9:11 | 10 |
| სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:9 | 9 |
| ტორინო | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 |
| სამპდორია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:11 | 7 |
| რომა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:15 | 7 |
| კალიარი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| ბოლონია | 9 | 2 | 0 | 7 | 7:14 | 6 |
| კიევო | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | 6 |
| რეჯინა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:16 | 5 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი

**ბრედა 0:1 ტვენტე**

**ჰერენვენი 0:2 ვიტესი**

**ჰერაკლესი 1:3 აიაქსი**

**ნაიმეგენი 2:2 გრონინგენი**

**სპარტა 2:1 ფეიენოორდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:5 | 17 |
| ტვენტე | 8 | 5 | 2 | 1 | 12:6 | 17 |
| ალკმაარი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| ბრედა | 8 | 5 | 1 | 2 | 16:10 | 16 |
| აიაქსი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 16 |
| პსვ | 8 | 5 | 0 | 3 | 15:7 | 15 |
| ნაიმეგენი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| ჰერაკლესი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ჰერენვენი | 8 | 3 | 3 | 2 | 18:17 | 12 |
| ტილბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:13 | 12 |
| დენ ჰააგი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:12 | 10 |
| სპარტა | 8 | 2 | 3 | 3 | 8:13 | 9 |
| უტრეხტი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| გრააფსხაპი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:11 | 7 |
| როდა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | 6 |
| ფეიენოორდი | 8 | 1 | 2 | 5 | 12:15 | 5 |
| ვიტესი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| ვოლენდამი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:22 | 1 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი

**კაენი 1:1 ნიცა**

1:0 სავიდანი (67), 1:1 რემი (83პ)

**გრენობლი 0:0 ლილი**

**ლე მანი 0:2 ოსერი**

0:1, 0:2 ოლიეში (35, 39)

**მონაკო 3:1 ნანსი**

1:0 ნიმანი (32), 2:0 პოკრივაცი (62), 2:1 ზერკა (75), 3:1 ლუკატა (86)

**ნანტი 1:1 მარსელი**

1:0 მარევალი (44), 1:1 კონე (77)

**პსჟ 0:1 ტულუზი**

0:1 კამარა (65 ს.კ.)

**სოშო 0:2 ლიონი**

0:1 ბენზემა (66), 0:2 დელგადო (90)

**ვალანსიენი 0:0 რენი**

**სტ ეტიენი 1:4 ლორიანი**

0:1 მორელი (20), 1:1 გომისი (33), 1:2, 1:3 რობერტი (56, 69), 1:4 აიეუ (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 11 | 7 | 3 | 1 | 16:8 | 24 |
| ბორდო | 11 | 6 | 3 | 2 | 18:10 | 21 |
| ტულუზი | 11 | 6 | 3 | 2 | 10:8 | 21 |
| მარსელი | 11 | 5 | 5 | 1 | 21:14 | 20 |
| ლე მანი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:13 | 18 |
| გრენობლი | 11 | 5 | 3 | 3 | 10:8 | 18 |
| ლილი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:13 | 17 |
| პსჟ | 11 | 5 | 2 | 4 | 12:10 | 17 |
| რენი | 11 | 3 | 7 | 1 | 13:9 | 16 |
| ნიცა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:13 | 16 |
| ოსერი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 15 |
| კაენი | 11 | 3 | 5 | 3 | 17:13 | 14 |
| მონაკო | 11 | 3 | 4 | 4 | 9:10 | 13 |
| ლორიანი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:15 | 12 |
| ნანტი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:17 | 11 |
| სენტ ეტიენი | 11 | 3 | 1 | 7 | 7:14 | 10 |
| ნანსი | 11 | 1 | 6 | 4 | 8:13 | 9 |
| ვალანსიენი | 11 | 2 | 2 | 7 | 8:16 | 8 |
| ლე ავრი | 11 | 2 | 2 | 7 | 8:18 | 8 |
| სოშო | 11 | 0 | 6 | 5 | 10:16 | 6 |

## ესპანეთი

### კოპა დელ რეი

**პორტუგალეტე 1:4 ვალენსია**

**კასტელიონი 0:2 ბეტისი**

**სელტა 2:2 ესპანიოლი**

**ეხიდო 5:0 ვილიარეალი**

**ელჩე 0:2 დეპორტივო**

**ერკულესი 1:5 ვალიადოლიდი**

**მალაგა 1:1 მალიორკა**

**მურსია 2:1 რასინგი**

**ნუმანსია 0:1 ხიხონი**

**ორიუელა 0:1 ატლეტიკო**

**პონფერადინა 1:0 სევილია**

**რაიო ვალიეკანო 1:2 ალმერია**

**ბილბაო 2:0 უელვა**

**ხეტაფე — ოსასუნა**

წუხელ გვიან დამთავრდა

## უკრაინა

### თასი

**ილიჩოვეცი 0:2 ტავრია**

**ზაკარპატია 1:4 შახტარი**

**ალექსანდრია 1:1 (6:5პ) დნიპრო**

**სტალი 2:0 ლვოვი**

**ხარკოვი 0:2 მეტალისტი (დ)**

**დინამო 2:0 ზარია**

**მეტალისტი (ხ) 3:1 არსენალი**

## არგენტინა

### აპერტურა

**გოდოი 2:3 ურაკანი**

**ველესი 2:0 სან მარტინი**

**ბანფილდი 0:1 ბოკა ხუნიორსი**

**როსარიო 3:0 ხიმნასია ხ**

**რივერ პლეიტი 1:1 ნიუელსი**

**სან ლორენსო 1:1 ხიმნასია ლპ**

## ავსტრია

### თასი

**ჰორნი 0:1 შტურმი**

## ბელგია

### იუპილერლიგა

**ბრიუგე 2:0 ვარეგემი**

## დანია

### თასი

**ფრედერისია 0:1 ოლბორგი**

**ჰორსენსი 3:2 რანდერსი**

**ჰვიდოვრე 3:3დდ. (2:2, 4:2პ) ნორდშიელანდი**

**ლიუნგბიუ 5:2 სკივე**

**ნორდვესტი 1:1 (4:2პ) აკადემისკი**

**ოდენსე 1:0 ორჰუსი**

## საბერძნეთი

### სუპერლიგა

**პანათინაიკოსი 2:3 ერგოტელისი**

### თასი

**პანეტოლიკოსი 0:2 ლარისა**

**ეთნიკოსი 0:2 პანიონიოსი**

**დიაგორასი 2:3 ოლიმპიაკოსი**

## უნგრეთი

### ლიგის თასი

**ბოცი 5:0 ვაკ**

**პაკში 2:2 დუნაუივაროში**

**დიორი 1:1 მტკ**

**კაპოშვარი 1:0 ზალაეგერსეგი**

**კეჩკემეტი 4:0 ბაქტალორანტჰაზა**

**ნირედჰაზა 1:1 ბორშოდი**

**ჰალადაში 3:0 ბუდაორში**

**ვაშაში 2:1 დებრეცენი**

**პეჩი 1:1 უიპეშტი**

**ჰონვედი 8:1 რეაკ**

**ფეჰერვარი 0:0 ფერენცვაროში**

**შიოფოკი — ლომბარდ პაპა** გადაიდო

## ლიტვა

### A ლიგა

**ვეტრა 0:2 კაუნასი**

## პოლონეთი

### თასი

**სტალი 2:0 სტალოვა**

**ოპალენიცა 1:4 ზაგლებე**

**ლეგია 0:0 (8:7პ) იაგელონია**

**ვისლა 2:1 გურნიკი**

## პორტუგალია

### ლიგის თასი

**გონდომარი 0:2 აკადემიკა**

**ლეირია 1:0 ნასიონალი**

**რიუ ავე 1:0 ბრაგა**

**ჟილ ვისენტე 0:1 ბელენენსეში**

## შოტლანდია

### ლიგის თასი

**კილმარნოკი 1:3 სელტიკი**

## თურქეთი

### თასი

**დენიზლი 2:2 მანისა**

**ესკიშეჰირი 0:2 ბურსა**

**კაისერი 1:1 ალთაი**

**სივასი 1:0 კონია**

**გაზიანთეფი 3:1 ტრაბზონი**

**ანკარა 0:1 ფენერბაჰჩე**

## შვეიცარია

### თასი

**ალე 0:5 იანგ ბოისი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ისახარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge